# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 3 აგვისტო, 2012 წელი.

№147 (7023)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## 80 მილიონის გადახდა მხოლოდ მას შემდეგ გადავწყვიტე, ხელისუფლებამ სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად სამარცხვინოდ მცირე თანხები რომ გამოყო...



გუშინ მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი ესაუბრა „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს. ამ ვრცელი ინტერვიუდან, ქალბატონ ირმას თანხმობით, გთავაზობთ ბატონი ბიძინას რამდენიმე პასუხს.



2



## ჭაბუა ამირეჯიბმა საზოგადოებას წერილით მიმართა

წერილში ჭაბუა ამირეჯიბი უცხოეთსა და საქართველოში მცხოვრებ შეძლებულ მოქალაქეებს მიმართავს , ჩაერთონ დაგეგმილ აუქციონში და შეისყიდონ და მფლობელობაში დაუბრუნონ ბინები იმ ოჯახებს, რომელთაც საცხოვრებელი ფართი „ქართული ოცნების„ ფონდში თანხის ჩარიცხვის გამო ჩამოართვეს.

— ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ პარასკევს, 3 აგვისტოს გაიმართება საჯარო აუქციონი, რომელზეც გასაყიდად გამოიტანენ იმ ქართველ მოქალაქეთა ბინებს, ვინც თანხა ჩარიცხა „ქართული ოცნების“ ფონდში. მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, როგორც უცხოეთში, ასევე საქართველოში მცხოვრებ შეძლებულ მოქალაქეებს, შეისყიდოთ და მფლობელებს დაუბრუნოთ ეს ბინები. ვინც ჩემ თხოვნას დადებითად გამოეხმაურება, იგი არა მარტო უსახლკაროებისა და ახალი სახის ტერორისაგან იხსნის 6 ოჯახს, არამედ დიდ ზნეობრივ საქმესაც აღასრულებს თავისი საქციელით. ქართველებო, ღმერთი არ ივიწყებს სიკეთეს, — აღნიშნულია ჭაბუა ამირეჯიბის წერილში.

## ვინ იწვევს დაპირისპირებას სვანეთში?

3



## უმუშევარი ვის ჰქვია, კანონმდებლობისთვის უცნობია

5

## მიშას „ლოპოტის ტბა“ და „შადრევანი“ ნაძალადევში

7

## კონფლიქტის განახლების საფრთხე – ჭორი თუ მძიმე მოგონების გამოძახილი?

6

## ის, რაც მოხდა კახეთში, მხოლოდ დასაწყისია

6



სტიქიაზე მეტად ქვეყანას მთავრობის უგუნურ-მტრული პოლიტიკა აზარალებს

# 80 მილიონის გადახდა მხოლოდ მას შემდეგ გადავწყვიტე, ხელისუფლებამ სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად სამარცხვინოდ მცირე თანხები რომ გამოყო...

(პირველი გვერდიდან)

– „სხვაობა, თუ როგორია სააკაშვილის იდეოლოგია და როგორები ვართ ჩვენ, კარგად გამოჩნდა მესტიაში, როდესაც ოფიციალურად ვხსნიდით შტაბს. შტაბის წინ შეკრებილი ჩვენი მომხრეების პარალელურად, „ნაციონალების“ იქ ყოფნით, ერთი ადამიანის, სააკაშვილის ძალადობრივი იდეოლოგია კარგად გამოჩნდა. ჩვენი ერთ-ერთი სანიმუშო შეკრება სვანეთში იყო. სვანებმა, ასეთი ისტორიის მქონე, ძლიერმა ადამიანებმა, გამოიჩინეს თავდაჭერილობა მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გაღიზიანებულები იყვნენ. როგორ დინჯად, კარგად იქცეოდნენ სვანები, ეს ფიცხი და მებრძოლი ხალხი. შეურაცხყოფა არავისთვის მიგვიყენებია, ვამბობდით, რომ ისინი ჩვენი ძმები არიან. სწორედ ამ საქციელით გამოჩნდა კონტრასტი. ძალიან კარგად ჩანდა ორი – ჩვენი კოალიციისა და ნაციონალური მოძრაობის სახე.



* * *

– როდესაც პოლიტიკაში მოდიხარ, საკუთარ თავს გარკვეული თამაშის უფლებას აძლევ. თუმცა საკუთარი მორალისა და სინდისის წინააღმდეგ არ უნდა წახვიდე. მე, რა თქმა უნდა, ანგარიშს ვუწევ იმ დიდ მიზნებს, რაც დავისახეთ, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ დამიკარგავს სახე. ვფიქრობ, რომ აბსოლუტურად თანმიმდევრული ვიყავი 80 მილიონთან დაკავშირებით. პოლიტიკაში მყოფი ადამიანის ნაკლებად სჯერათ, თანაც, როდესაც არჩევნები კარზეა მომდგარი, ნაკლებად სარწმუნოა მისი სიტყვები, მაგრამ გულწრფელად გეუბნებით, ეს არ იყო ჩემთვის ერთადერთი შემთხვევა. 20 წელია, ვცდილობ ჩემს ქვეყანას დავეხმარო. გარწმუნებთ, რომ 80 მილიონის გადახდის გადაწყვეტილება მივიღე მხოლოდ მას შემდგომ, რაც ხელისუფლებამ სტიქიით დაზარალებულების დასახმარებლად მიზერული, სამარცხვინო თანხები გამოყო.

* * *

– არ გამოვრიცხავ „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებში კორექტივები შეიტანოს. როგორც წესი, კარგ, ღირსეულ კანდიდატს ყველაზე მეტად ესხმიან თავს. ყველასთვის მოსაწონი კანდიდატის შერჩევა ძალიან ძნელია. საზოგადოების ნაწილი გულწრფელად განიცდის ჩვენ მიერ დაშვებულ შეცდომებს, მაგრამ არსებობს ხალხის კატეგორია, რომელთა მიზანია, სხვადასხვა გზებით და ინტრიგებით უარი გვათქმევინოს ღირსეულ კანდიდატებზე.

* * *

– ქიბარ ხალვაში „რუსთავი 2“-ის მეპატრონე ფორმალურად იყო. სინამდვილეში აღნიშნულ ტელეკომპანიას ყოველთვის მიხეილ სააკაშვილი აკონტროლებდა. ეროსი კიწმარიშვილმა მოახერხა, თავისი პარტნიორები სიცრუით ჩამოეშორებინა და ძირითადი თანხები მიეთვისა. ამის შემდეგ მას მუდმივად აკონტროლებდა სააკაშვილი. როგორც აღმოჩნდა კიწმარიშვილი თავს აბეზრებდა სააკაშვილს პრემიერ-მინისტრობის თანამდებობის თხოვნით. რაც შეეხება „მე-9 არხს“, ეს ტელეკომპანია ჩემი ნებით დავთმე, მის წართმევას ვერავინ გამიბედავდა. მაშინ პოლიტიკა არ მაინტერესებდა და არაფერში ვერეოდი, ეს იყო ჩემი შეცდომა.

* * *

– პოლიტიკა ისეთი რამაა, ძალით კაცს ვერ მიიზიდავ. პოლიტიკაში საკუთარი სურვილით ჩავერთე. ერთია არჩევნების მოგება და მეორეა სახელმწიფოს მართვა. ხელისუფლებაში მოსვლით უდიდეს პასუხისმგებლობას ვიღებ თავზე, ვალდებული ვარ, მუდმივად ვაკონტროლო, რომ ჩემი გუნდის რომელიმე წევრი ირიბი გზით არ წავიდეს. შეცდომებისგან დაზღვეული არავინაა. იდეალური არა, მაგრამ ოპტიმალური, მეგობრული გუნდი ჩამოვაყალიბეთ. ძალიან ბევრი ვიმუშავე კოალიციის შიგნით და თითოეულ მის წევრთან ინდივიდუალურად. ხშირად მიჭირს შავის და თეთრის გარჩევა, მაგრამ ამას მაინც ვახერხებ. შეიძლება ადამიანს არ ვეთანხმებოდე, მაგრამ გვერდით თავისი პრინციპულობის გამო დავიყენო. აქცენტი პრინციპულ პოზიციაზე მდგომ ხალხზე გავაკეთე, რადგან ამ კატეგორიის ხალხს ღალატი არ სჩვევია. პირველ რიგში, ობიექტური სასამართლოს დანერგვა უნდა მოვახერხოთ და ამაზე პირადად ვიზრუნებ. უნდა შევინარჩუნოთ საქართველოს ყველა ის მოქალაქე, ვისაც სისხლის სამართლის დანაშაული არა ქვს ჩადენილი.

* * *

– არსებულმა ხელისუფლებამ, მეცნიერება და განათლება პრაქტიკულად გაანადგურა. მის მიერ გატარებული რეფორმების აბსოლუტური უმრავლესობა დამანგრეველი და სტრესული იყო ჩვენი საზოგადოებისთვის. მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და პოლიციის რეფორმამ გაამართლა. ათასობით პატრულის თანამშრომელმა უარი თქვა ქრთამის აღებაზე, მაგრამ ეს არ იყო არც მერაბიშვილის დიდი მენეჯმენტის შედეგი და არც სააკაშვილის იდეოლოგიაზე დამყარებული გამარჯვება... მე შემიძლია უამრავი რეფორმა გავიხსენო, რომელთაც შედეგადაც ქვეყანა დანგრევის პირას მიიყვანეს...“

## ◉ განსჯა

### „ჯი-ეიჩ-ენს“ ესაუბრა ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი



**– ბატონო სოსო, საპარლამენტო არჩევნებამდე, ფაქტობრივად, ორი თვეა დარჩენილი. როგორ შეაფასებთ ქვეყანაში შექმნილ წინასაარჩევნო გარემოს. პოლიტიკურ პარტიებს რამდენად თანაბარ პირობებში უწევთ საქმიანობა?**

– სამწუხაროა, რომ ბევრი დაპირების მიუხედავად, საქართველოს პრეზიდენტმა ვერ მოახერხა დემოკრატიული თვალსაზრისით წინასაარჩევნო გარემოს შეცვლა, რაც სახარბიელო ნამდვილად არ არის.

**– უმრავლესობის წარმომადგენლები, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრებს მართავენ. ადგილობრივების დამოკიდებულება „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მიმართ ერთგვაროვანი არ არის. რითი ხსნით ამ გარემოებას? შესაძლოა თუ არა, არჩევნების მოახლოებასთან ერთად ეს დამოკიდებულება უფრო გამწვავდეს?**

– ბოლო პერიოდის განმავლობაში საქართველოს რამდენიმე რეგიონში ვიმყოფებოდი და კარგად ვიცი, რა განწყობაა. ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულება საკმაოდ აგრესიული და გამწვავებულია. ახლა მმართველი გუნდი ცდილობს, მოსახლეობა დაარწმუნოს, რომ საარჩევნო კუთხით ვითარება მოწესრიგდება და ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს მოსახლეობის დასახმარებლად. ვფიქრობ, მმართველ ძალას მოსახლეობის დარწმუნება ამ მიმართულებით ძალიან გაუჭირდება.

**– როგორ ფიქრობთ, არჩევნებში წარმატების მისაღწევად რამდენად სწორი ტაქტიკით მოქმედებს ბიძინა ივანიშვილი?**

– რომ არა სწორი ტაქტიკა, რასაც „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიები ამჟღავნებენ, ასეთი თვალსაჩინო არ იქნებოდა ის დამოკიდებულება, რასაც მოსახლეობა მმართველი გუნდის მიმართ იჩენს.

**– რისი თქმა შეგიძლიათ „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო ტაქტიკის შესახებ?**

– „ნაციონალური მოძრაობა“ გახდა სახელმწიფო სტრუქტურების ტკიპა, რომელიც ბიუჯეტს მიეკრა. ამიტომ მოსახლეობის ინფორმირებულობაა აუცილებელი, თუ რა არის ბიუჯეტი, რა შედის მასში და რომ ბიუჯეტთან მმართველ პარტიას არაფერი ესაქმება.

**– ბოლო პერიოდში მიხეილ სააკაშვილმა სამთავრობო ცვლილებები განახორციელა. ახლახან მან სახელმწიფოს მთავარი აუდიტორი კახეთში პრეზიდენტის წარმომადგენლად დანიშნა, მაშინ, როცა კახეთს ჰყავს პრეზიდენტის რწმუნებული. როგორ ფიქრობთ, რას ემსახურება ლევან ბეჟაშვილის საკადრო გადაადგილება?**

– ბეჟაშვილს თავისი საქმიანობის განმავლობაში რაიმე სახის პრინციპული გადაწყვეტილება არ მიუღია. შესაძლოა, უპრინციპო ბეჟაშვილი კახეთში უფრო მეტად პრინციპული აღმოჩნდეს თავისი საქმიანობის განხორციელებისას, ვიდრე მისი თანამდებობა მოითხოვს.

**– ივანიშვილმა, სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარების მიზნით, ბიუჯეტში 80 მილიონი ლარი გადარიცხა. უმრავლესობის თქმით, „ქართული ოცნების“ ლიდერის გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ „ქართუ ბანკის“ გადარჩენას ემსახურებოდა. როგორია თქვენი პოზიცია და რას ფიქრობთ, რამდენად მართებული ნაბიჯი გადადგა ივანიშვილმა?**

– ჩემი აზრით, ივანიშვილის მხრიდან ეს იყო სწორი და გონივრული ნაბიჯი. თუმცა შედეგს რაც შეეხება, შესაძლოა, ივანიშვილზე უარყოფითად იმოქმედოს, რადგან ხელისუფლება დაზარალებული მოსახლეობისთვის ივანიშვილის მიერ გადარიცხულ თანხას მმართველი გუნდის ძლევენის სტატუსით იყენებს და მას „ნაციონალური მოძრაობის“ მადლი ჰქვია.

# თუ პრეზიდენტი დადებულ პირობას შეასრულებს...

**– მაშინ, რამდენად მართებულია ივანიშვილის გადაწყვეტილება 80 მილიონის გადარიცხვის შესახებ?**

– ბიძინა ივანიშვილი ბუნებით ქველმოქმედია და თანხა მხოლოდ და მხოლოდ სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების მიზნით გადარიცხა. თუ დააკვირდით, ხელისუფლებამ სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოსთვის 160 მილიონი ლარი გამოყო. ამისთვის კი ხელისუფლება ივანიშვილის გადარიცხულ 80 მილიონს გამოიყენებს, ხოლო დანარჩენ 80 მილიონს იდუმალ ინვესტორებს შეაწერს, რომლებიც თურმე იმისთვისღა ცოცხლობენ, რამენაირად კახეთი აღადგინონ. საინტერესოა, ვინ არიან ეს ინვესტორები?

**– ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს რეგიონების უმეტეს ნაწილში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატები დაასახელა. როგორ შეაფასებთ, მაჟორიტარების შანსებს?**

– ყველაფერი პრეზიდენტზე იქნება დამოკიდებული – თუ რამდენად შეასრულებს დადებულ პირობას და შექმნის დემოკრატიული წინასაარჩევო გარემოსა და უზრუნველყოფს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას. მაჟორიტარების საკითხს რაც შეხება, ჩვენ იმ რეალობის ტყვეობაში ვიმყოფებით, რომელსაც ჰქვია პოლიტიკური ლიდერის გავლენა ამომრჩეველზე. შესაბამისად, ამომრჩეველი პოლიტიკური პარტიის სამოქმედო გეგმას ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ვიდრე პოლიტიკურ ლიდერს. ამასთან, მაჟორიტარ კანდიდატებს მოუწევთ ამომრჩევლის დარწმუნება, რომ ყალბი პროპაგანდის პროცესში არ მოექცნენ.

**– სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიამ „კარდაკარის“ პირველადი მონაცემები გამოაქვეყნა, როგორია თქვენი დამოკიდებულება საარჩევნო სიისადმი?**

– ის, რაც საარჩევნო სიებთან დაკავშირებით ხდება, მიმაჩნია, რომ ხელისუფლების მაიმუნობაა. კონკრეტული მაგალითის მოყვანაც შემიძლია: აშშ-ში საქართველოს საელჩომ რამდენიმე დღის წინათ ყველა საბუთის გათვალისწინებით, უარი უთხრა ჩვენს მოქალაქეებს ამომრჩეველთა სიაში დარეგისტრირებაზე, რადგან თურმე ამომრჩევლების დასარეგისტრირებლად განაცხადის მიღება 23 ივლისს შეწყდა. როგორც ჩანს, საქართველოს საელჩოს მთავრობისგან ბრძანება აქვს მიღებული, რომ საქართველოს მოქალაქეების განაცხადი აღარ მიიღოს ამომრჩევლად დარეგისტრირების შესახებ. ეს დანაშაულია, რადგან გამოცხადებულია, რომ სიების დაზუსტება პირველ სექტემბრამდე გაგრძელდება. ამიტომ თუ აშშ-ში საქართველოს ელჩს, იაკობაშვილს, ღირსების რაიმე ნარჩენით მაინც უნდა სამშობლოში დაბრუნება, უნდა მიხედოს თავის მოქალაქეებს და არა ქურდულად გაყაროს.

**– ანუ სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიის მონაცემებს არ ენდობით?**

– სრული ნდობა გამიჭირდება, რადგან ბაზა, რომლითაც სახელმწიფო კომისიამ სამუშაო ჩაატარა, არის ის სია, რომელსაც წლების განმავლობაში ჯერ „მოქალაქეთა კავშირის“, ხოლო შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა“ აყალბებდა. ვნახოთ, გამოქვეყნდება სხვა პოლიტიკური ძალების მიერ ჩატარებული „კარდაკარის“ შედეგებიც და შედარება უფრო მკაფიოდ შეგვეძლება.

ესაუბრა
**მირანდა ნაზახტეველი**

## ◉ კიდევ ერთხელ გაუტიეს!

### მიხეილ სააკაშვილმა არჩევნები რუსულ წვრთნებს სპეციალურად დაამთხვია?

**ნათელაშვილი ამომრჩეველს მიმართავს, მისცეს ხმა, რათა პარტიას მიეცეს საშუალება, დაიბრუნოს სოხუმი და ცხინვალი.**

– 1 ოქტომბერი არჩევნების კი არა, საქართველოს ყოფნა-არყოფნის დღეა. ასარჩევი ბევრი არაფერი გაქვთ, ერთ მხარეზეა სამშობლოთი მოვაჭრე სააკაშვილ-ივანიშვილის პროამერიკულ მილიარდერ მძარცველთა ბანდა, მეორე მხარეს თქვენი ლეიბორისტული პარტია, რომელსაც არაერთხელ უღალატეთ და ეს უკვე დაგიჯდათ ქვეყნის დაშლად. ისტორია შეცდომას არ გვაპატიებს. ერთხელ მაინც გვანდეთ ქვეყანა და ჩვენ გადაგარჩენთ. მდიდარს წავართმევთ, ღარიბს დავუბრუნებთ, საქართველოს აღვადგენთ, მთავარია, არ გაიყიდოთ და არ შეშინდეთ, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

რაც შეეხება „ლეიბორისტული პარტიის“ სიას და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს, ნათელაშვილის თქმით, პარტიიდან ახალი სახეები წარდგენილი არ იქნება. რაც შეეხება არჩევნების თარიღს, ნათელაშვილი არჩევნების პირველ ოქტომბერს დანიშვნით უკმაყოფილოა. „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილმა არჩევნები სპეციალურად დაამთხვია რუსეთის წვრთნებს კავკასიაში, რათა ეს ფაქტორი თავისი საარჩევნო პიარისთვის გამოიყენოს.

„ნაცვლად იმისა, რომ ოქტომბრის შესანიშნავი ხავერდოვანი თვე გამოყენებულიყო საარჩევნო კამპანიისთვის, სააკაშვილმა ხელი მოაწერა არჩევნების პირველ ოქტომბერს დანიშვნას, რათა იმედი აქვს, რომ ამ პერიოდში რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო წვრთნები კავკასიაში შესაძლებლობას მისცემს კარგად იპროვოკატოროს საქართველოს საფრთხეებით, როგორც მას სჩვევია და დაარწმუნოს და დააშინოს ამომრჩეველი, რომ თუ ის არ იქნება არჩეული, დაიწყება დაბომბვები, – აცხადებს ნათელაშვილი.

გოროზიას სპეცრაზმი

**მესტიის რაიონის სოფელ იფარში მოსახლეობასა და პოლიციას შორის ინციდენტი მოხდა, რომელშიც თავად სოფლის რწმუნებული თამაზ გულბანი მონაწილეობდა. გამგებელმა პოლიცია გამოიძახა. პოლიციის ხუთი „პიკაპი“ გამგებლის სახლთან მთელი ღამის განმავლობაში პატრულირებდა. გავრცელებული ინფორმაციით, მესტიაში სპეცრაზმია ჩაყენებული. ადგილობრივების განცხადებით, მსგავსი ინციდენტი ერთი კვირის წინათაც გამოვლინდა და ნაცმოძრაობის წევრები ადგილობრივების დაშინებას ცდილობენ. მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის დაპირისპირების მიზეზად ადგილობრივთა ოპოზიციური განწყობა სახელდება.**

**მომხდარის შესახებ For.ge მესტიაში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს ვიქტორ ჯაფარიძეს ესაუბრა.**

# ვინ იწვევს დაპირისპირებას სვანეთში?

— ერთი კვირის წინათ სოფლის ერთ-ერთ მკვიდრს ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა პოლიციელებმა ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. კერძოდ, იფარის მცხოვრები ახალგაზრდა გააჩერეს მთვრალმა პოლიციელებმა, უდიერი სიტყვებით გაესაუბრნენ და შემდეგ ეს ბიჭი სცემეს. სიტუაციის განეიტრალებლად მესტიიდან პოლიციის უფროსი ამოვიდა. თუმცა, თუ ეს სიტუაცია არ მოწესრიგდა, დარწმუნებული ვარ, ინციდენტი კიდევ მოხდება.

**— წუხანდელი ინციდენტი რატომ დაიწყო?**

— წუხანდელი ინციდენტი ზუსტად იმ ინციდენტის გაგრძელებაა, რომელზეც გითხარით და, რომელიც დაახლოებით ათი დღის წინათ პოლიციელებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მოხდა. სწორედ ამის გაგრძელება იყო გუშინდელი დღე, როდესაც დაზარალებული ბიჭის დედა შეხვდა იმ პოლიციელს და, ალბათ, ცოტა მწარედ დაელაპარაკა. ამის შემდეგ პოლიციელმა გადარეკა საკუთარ მშობლებთან და ეს მშობლები დახვდნენ ამ ქალბატონს, მის მეუღლეს და მათ სერიოზული პრობლემები შეექმნათ. თავის მხრივ, მოქალაქემ გადარეკა პოლიციაში და ისინი რამდენიმე „პიკაპით“ ამოვიდნენ, ვითარება განეიტრალდა, მაგრამ ინციდენტი ამოწურული არ არის. ეს ინციდენტი როგორმე უნდა დარეგულირდეს, რადგან პოლიციელები სისტემატურად არღვევენ კანონს თავად სოფელ იფარში. სიტყვები არ მყოფნის, რომ ვთქვა, რას აკეთებენ იქაური პოლიციელები, ისინი სიტუაციას ძაბავენ.

**— ეს იმით ხომ არ აიხსნება, რომ იფარის მოსახლეობა განსაკუთრებით თანაუგრძნობს ბიძინა ივანიშვილს?**

— არ გამოვრიცხავ, თუმცა მანამდეც ასე იქცეოდნენ ეს პოლიციელები. დათვრებიან, გამვლელ-გამომვლელს ნერვებს უშლიან, ყველაფერზე აჯარიმებენ, საშინელ დღეში ჰყავთ მოსახლეობა. ისეთი პიროვნებებით არის იფარის პო-



ლიცია დაკომპლექტებული, რომლებიც, ჩემი აზრით, დიდი ხანია, საკანში უნდა ისხდნენ და არა პოლიციის ქვეგანყოფილებაში.

**— კვირიკობა დღეს ბიძინა ივანიშვილი სვანეთში იმყოფებოდა. მოსახლეობა მას სიხარულით შეეგება, თუმცა ხელისუფლებამ თავისი აქტივისტები დაახვედრა და შეხვედრის ჩაშლა სცადეს.**

— ამ ფაქტის თვითმხილველი გახლდით. ზაზა გოროზიამ, გამგებელმა და ჩვენმა დეპუტატმა, უფრო სწორად, იგი „პრარაბია“ და არა დეპუტატი, და სხვებმა, წალენჯიხელები, ხობელები, სენაკელები ამოიყვანეს. ამ ბანდას ხელმძღვანელობს ზაზა გოროზია. ყოველ შემთხვევაში, ამ ბანდაში არც ერთი ადგილობრივი მცხოვრები არ ყოფილა და ადგილობრივებს პროტესტი არ გამოუხატავთ ბიძინა ივანიშვილის ჩამოსვლის გამო. ეს ჩამოსული ადამიანები ჩვენ გვეუბნებოდნენ — წადით, წადითო. ეს იყო ადგილობრივი მოსახლეობის დიდი უპატივცემულობა, რაც შეურაცხყოფად მიიღო აბსოლუტურად ყველა სვანმა და ძალზე ნეგატიური აზრი გაჩნდა ამის შესახებ. ეს იყო სამარცხვინო ფაქტი. დარწმუნებული ვარ, მათი ჩანაფიქრი ასეთი იყო, რომ აქ მომხდარიყო სერიოზული დაპირისპირება, რომელიც, ალბათ, ხელჩართულ ჩხუბში გადაიზრდებოდა. ეს არის ბინძური მეთოდი, ამას გეგმავს ზაზა გოროზია, სხვა არავინ. ამაში დარწმუნებული ვარ, არც ერთი სვანი იქ არ იყო. მაშინ, რომელიმე მათგანმა რატომ არ ამოიღო სვანურად ხმა, როცა ჟურნალისტები ეკითხებოდნენ?!

**— თქვენი შანსები როგორია სვანეთში თქვენს მოწინააღმდეგე ნაციონალების მაჟორიტარ კანდიდატ კვიციანთან შედარებით?**

— გეტყვით იმას, რომ ჩვენი მაჟორიტარობის კანდიდატს, რომლის სახელის ხსენებაც არ მსურს, დიდი „დამსახურება“ აქვს სვანების წინაშე. მან დააპატიმრებინა ორი ქალბატონი — მერი ნავერიანი და მზევინარ ჯაფარიძე, მათ შორის, ის ახალგაზრდები, რომლებიც მისი ოჯახის წევრები არიან. აი, ეს „დამსახურებები“ აქვს მას სვანების წინაშე. მისი „დამსახურებაა“, რომ წმინდა გიორგის ეკლესიას შესასვლელი დაუკეტეს, რომ სვანეთში მოსახლეობას აჯარიმებდნენ და დაახლოებით 600 ათასი ლარზე მეტი ჯარიმა ამოიღეს გაუბედურებული მოსახლეობისგან. ამ „დამსახურებებს“ ნაციონალები შემოდგომაზე „დაითვლიან“.

ბიძინა ივანიშვილს ძალიან დიდი შანსები აქვს სვანეთში. თუ ისევ სპეცრაზმს არ მოიყვანს ზაზა გოროზია, პრაქტიკულად, მათი შანსები ძალიან დაბალია.

**მანანა ნოზაძე**




რა ხდება?



# ჯარისკაცებს „ანტიბიძინისტურ“ ლექციებს უკითხავენ?!

**არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, ქუჩაში გამოსული ხალხის დასაშოშმინებლად ხელისუფლებამ ჯარისკაცების გადამზადება დაიწყო. არაოფიციალური ინფორმაციით, სამხედროებს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ „წვრთნებს“ უტარებენ. კერძოდ, მათ ლექციებს უკითხავენ, რომლითაც ბიძინა ივანიშვილისადმი უარყოფით განწყობას გადასცემენ, ასევე, „დუბინკების“ სათანადო გამოყენებას ასწავლიან.**

**ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ 2009 წლის აპრილის აქციებისას პატრიარქმა წმინდა სამების ეკლესიაში სპეციალურად მიმართა ჯარისკაცებს: „მივმართავ ჯარს, რომ არავითარ შემთხვევაში ძალა არ გამოიყენოს. ჯარისკაცი, რომელიც ძმაზე ხელს აღმართავს, სამშობლოს მცველად არ გამოდგება“.**

**რა განწყობაა ჯარისკაცებში და აღმართავენ თუ არა ისინი ხელს საკუთარ მოსახლეობაზე?! აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმებას For.ge სამხედრო ექსპერტებისგან შეეცადა.**

მართალია, ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი კონკრეტულად ამ ინფორმაციას არ ფლობს, მაგრამ ის, რომ დღესდღეობით მთლიანი უსაფრთხოების სექტორი პოლიტიზებულია და ხელისუფლება მას საკუთარი ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისთვის იყენებს, სესიაშვილი ამაში დარწმუნებულია. მეტიც, მისი თქმით, ეს მთელი მსოფლიოსთვის ცხადია.

სიტუაციიდან ერთ-ერთ გამოსავლად ირაკლი სესიაშვილს ჩვენი საზოგადოების გააქტიურება ესახება. მისი აზრით, საზოგადოებამ, რომელიც დღეს იბრძვის არა იმისთვის, რომ ბიძინა ივანიშვილი მოვიდეს ხელისუფლებაში, არამედ იმისთვის, რომ აღდგეს სამართლიანობა, მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს. სწორედ საზოგადოებამ უნდა მოუწოდოს ჯარისკაცებს, პოლიციელებს, რომ მათ უნდა დაიცვან ქვეყანა, ჩვენი მოქალაქეები და, რაც მთავარია, უნდა დაიცვან კანონი.

სამხედრო ექსპერტი გიორგი მელითაური ჯარისკაცების საარჩევნოდ გადამზადების თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას ჭორად მიიჩნევს, თუმცა აცხადებს, რომ ხელისუფლების მხრიდან ჯარისკაცების ამ მიზნით გამოყენება დიდი შეცდომა იქნებოდა და არანაირად არ არის დასაშვები, რომ ჩატარდეს „ანტიბიძინისტური“ ლექციები, რომელიც მიმართული იქნება ივანიშვილის თუ ნებისმიერი პოლიტიკოსის მიმართ.

მისივე თქმით, რა თქმა უნდა, პოლიციის (და არა ჯარისკაცებისძ, პრეროგატივაა, რომ შიდა არეულობის დროს ისინი გამოიყენონ. თუმცა საგანგებო ვითარებაში, როდესაც პოლიციური ძალები საკმარისი არ არის, შეიარაღებული ძალებიც იღებენ მონაწილეობას. ამის დასტურად გიორგი მელითაურს შეერთებული შტატების მაგალითი მოჰყავს, როდესაც ნიუ-ორლეანში წყალდიდობის შემდეგ მასობრივი არეულობები დაიწყო და ქალაქში ეროვნული გვარდიის შეიარაღებული ქვედანაყოფები შეიყვანეს, რადგან პოლიცია ველარ უმკლავდებოდა მოროდიორებს.

რაც შეეხება იმ საკითხს, მორალურად მზად არიან თუ არა ჩვენი ჯარისკაცები, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, საკუთარი თვისტომი დაარბიონ, გიორგი მელითაური აცხადებს: **„შეიარაღებული ძალები საზოგადოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ასახავს იმ ინტერესებსა და იმ ტკივილს, რაც საზოგადოებაშია. ამდენად, საზოგადოებისგან ჯარის ცალკე გამოყოფა გამართლებული არ არის“.**

**მარიამ ლოლაშვილი**

◉ თარიღი

# ჩვენი ურთიერთობები კიდევ უფრო განვითარდება

**2012 წლის 3 აგვისტოს 20 წელი სრულდება იაპონიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებიდან.** ამ თარიღთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვით მივმართეთ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს, **ბატონ კოიჩირუ** გემბას



**– ბატონო მინისტრო, 20 წელი გავიდა იაპონია-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან. რამდენად ნაყოფიერი იყო ორი ქვეყნის ურთიერთობა ამ პერიოდში?**

– იაპონია-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წელს დამყარდა. ა.წ. 3 აგვისტოს, ჩვენ აღვნიშნავთ ამ ურთიერთობების მე–20 წლისთავს. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ორმხრივი ურთიერთობები მტკიცედ განვითარდა და გაღრმავდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა მრავალ სფეროში.

იაპონია და საქართველო იზიარებენ დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრინციპებს. ორივე მხარე, როგორც ურთიერთსანდო პარტნიორები, მუშაობს ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავებაზე. ამავდროულად, ჩვენ გვაქვს მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო არენაზეც. 20 ივლისს, იაპონიაში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ, ბატონ გრიგოლ ვაშაძესთან შეხვედრისას ჩვენ შევთანხმდით, რომ ეს წელი გამოვიყენოთ როგორც გარდამტეხი მომენტი ორმხრივი ურთიერთობების უფრო მეტად განსავითარებლად.

**– 2007 წელს, პრეზიდენტ სააკაშვილის იაპონიაში ვიზიტის დროს, განიხილეს საკითხები სხვადასხვა სფეროში: პოლიტიკაში, ეკონომიკასა და კულტურაში. რა შეიძლება ჩაითვალოს იმ ვიზიტის ძირითად მიღწევად და როგორ ვითარდება ურთიერთობები ჩვენს ქვეყნებს შორის მას შემდეგ?**

– პრეზიდენტ სააკაშვილის იაპონიაში ვიზიტმა ჩვენს ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობის განვითარებას წინსვლის საშუალება მოგვცა. პრეზიდენტ სააკაშვილსა და იმდროინდელ იაპონიის პრემიერ-მინისტრ აბეს შორის გაიმართა ოფიციალური შეხვედრა, რის შედეგადაც მიღებულ იქნა ერთობლივი გადაწყვეტილება და ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოსა და იაპონიის მთავრობებს შორის ტექნიკური ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. ერთობლივი გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში, ხოლო „შეთანხმება საქართველოსა და იაპონიის მთავრობებს შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ“ საფუძვლად დაედო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობის მდგრად განვითარებას.

2007 წლის თებერვლიდან ურთიერთობები ჩვენს ქვეყნებს შორის უფრო და უფრო ვითარდება. დაახლოებით იმავდროულად გაიხსნა საქართველოს საელჩო იაპონიაში, ხოლო 2009 წლის 1 იანვარს, გაიხსნა იაპონიის საელჩო საქართველოში. წელს, როდესაც ჩვენ აღვნიშნავთ დიპლომატიური ურთიერთობების მე-20 საიუბილეო წლისთავს, გაცვლითი ურთიერთობების პოლიტიკური სფერო აქტიურად ვითარდება: ა.წ. მაისში ახლად შეიქმნა იაპონია-საქართველოს საპარლამენტო სამეგობრო ლიგა; ივნისში იაპონიაში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრი, ბატონი ნიკოლოზ გილაური, ხოლო ივლისში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ბატონი გრიგოლ ვაშაძე.

**– იაპონია უკვე დაგვეხმარა 220 მილიონი დოლარით, ძირითადად შეღავათიანი სესხით. ალბათ, უკვე დახმარებიდან ეკონომიკურ თანამშრომლობაზე გადასვლის დროა. თქვენი აზრით, რომელ დარგებს უნდა მიენიჭოთ უპირატესობა ამ თანამშრომლობაში?**

– საქართველო მნიშვნელოვან როლს ასრულებს კავკასიის რეგიონის მშვიდობისა და სტაბილიზაციის შესანარჩუნებლად, რომელიც თავის მხრივ ენერგეტიკული და სატრანზიტო კორიდორია კასპიის ზღვის რეგიონში. ამ თვალსაწიერიდან, საქართველო მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. იაპონია 20 წლის განმავლობაში ხელს უწყობდა საქართველოს დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით და დახმარებას უწევდა საქართველოს სესხით, საგრანტო და ტექნიკური თანამშრომლობით. ამ ყველაფრის ჯამი შეადგენს 430 მილიონ დოლარზე მეტს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის შემდგომი რეკონსტრუქციისათვის, ჩვენმა ქვეყანამ გადაწყვიტა გამოეყო 200 მილიონი აშშ დოლარიანი დახმარება, საიდანაც ერთი ნაწილი მოხმარდება „აღმოსავლეთ – დასავლეთის ავტობანის განვითარების პროექტს“. ჩვენი ქვეყანა მომავალშიც გაუწევს საქართველოს თანადგომას მნიშვნელოვან სფეროებში: ეკონომიკური ინფრასტრუქტურის და სოციალური სექტორის გასაუმჯობესებლად და სიდუხჭირის აღმოსაფხვრელად.

ეკონომიკურ სფეროში პარტნიორული ურთიერთთანამშრომლობა მნიშვნელოვანია. ამჟამად საქართველოში მხოლოდ ერთი იაპონური კომპანიაა წარმოდგენილი. საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შედეგად, მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, საქართველო, ბიზნესის განვითარების ხელსაყრელი გარემოს შექმნის თვალსაზრისით, მე-16 ადგილზეა, რის გამოც საქართველომ მოიპოვა მაღალი საერთაშორისო შეფასება. ამიტომ, ვფიქრობ, საკმარისი პოტენციალი არსებობს იმისა, რომ მომავალში ეკონომიკური ურთიერთობები ჩვენ ქვეყნებს შორის გაფართოვდეს და განვითარდეს. ეკონომიკური პარტნიორობის ერთ-ერთი იმედისმომცემი სფერო ტურიზმია. საქართველოს მიმზიდველი ტურისტული რესურსები აქვს. იაპონიაში კი განვითარებულია „სამედიცინო ტურიზმი“, რომელიც მოიცავს მკურნალობასა და ტურიზმს. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ურთიერთობები ამ სფეროში განვითარდება.

**– მოიშუშა იაპონიამ შარშანდელი დამანგრეველი ცუნამისა და მიწისძვრის შედეგად მიყენებული ჭრილობები? აქვე უნდა გითხრათ, რომ მთელი საქართველო საკუთარივით განიცდიდა მომხდარს.**

– კიდევ ერთხელ განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო პრეზიდენტ სააკაშვილს და საქართველოს თითოეულ იმ მოქალაქეს, ვინც თანადგომა და დახმარება აღმოგვიჩინა აღმოსავლეთ იაპონიის დიდი მიწისძვრის შემდეგ. ამ ტრაგედიის შედეგად დაიღუპა 15866 ადამიანი, 2946 ადამიანი კი კვლავ უგზოუკვლოდ არის დაკარგული. აღმოსავლეთ იაპონიაში მომხდარმა დიდმა მიწისძვრამ წარმოუდგენელი ზარალი გამოიწვია. მაგრამ, ამავდროულად მოგვცა საშუალება, რომ შეგვეგრძნო საერთაშორისო საზოგადოების და საქართველოს „მეგობრობის უღლის“ –კიძუნას თანადგომა. ამ „მეგობრობის უღლის“ მხარდაჭერით გამხნევებული იაპონია მდგრადად ვითარდება.



გვინდა გამოვხატოთ მადლიერება იმ დიდი თანაგრძნობისა და დახმარებისთვის, რაც ჩვენ საერთაშორისო საზოგადოებისგან მივიღეთ, და ჩვენი „ვალის დაბრუნების“ მიზნით, გვინდა, ყველას გავუზიაროთ ის ცოდნა და გაკვეთილები, რაც ამ ტრაგედიამ გვასწავლა. ამის ერთ-ერთი მაგალითი იყო დაზარალებულ ტოჰოკუს რეგიონში 3-4 ივლისს ჩატარებული „მსოფლიო სამთავრობო კონფერენცია ტოჰოკუს რეგიონში კატასტროფების აღმოფხვრის შესახებ“. ამ კონფერენციაზე, ჩვენმა ქვეყანამ გამოხატა მზადყოფნა გამოყოს 3 მილიარდ აშშ დოლარის დახმარება 2013 წლიდან 3 წლის განმავლობაში კატასტროფების აღმოსაფხვრელად და კატასტროფების წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოების განსავითარებლად. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საქართველოსთან ვითანამშრომლებთ კატასტროფების თავიდან აცილების სფეროშიც.

**– საქართველოში ფართოდ არის ცნობილი იაპონური ავტომანქანები, ელექტროტექნიკა და სხვ. საქართველოს კი რითი იცნობენ იაპონელები, რითია საქართველო მათთვის საინტერესო?**

– იაპონიაში საქართველო ცნობილია ქართული ღვინით, ქართული მაწვნით და და სიცოცხლის დიდი ხანგრძლივობით. ასევე, ჩვენთან კარგად იცნობენ კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის სფეროში მოღვაწე ქართველებს. მაგალითად, იაპონიის წამყვან ტრადიციულ სპორტ სუმოში 3 ქართველი მოღვაწეობს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ სუმოს სამყაროში. ასევე, იაპონიაში ბევრი თაყვანისცმცემელი ჰყავს საქართველოს სიამაყეს, მსოფლიო ბალერინას ნინო ანანიაშვილს, რომელიც უკვე მრავალი წლის განმავლობაში ატარებს წარმოდგენებს იაპონიაში. ა.წ. ივნისივლისში იაპონიაში ჩატარებულმა თბილისის სახელმწიფო საბალეტო დასის წარმოდგენებმა ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით, მაღალი შეფასება მოიპოვეს. მეც დავესწარი „გედების ტბას“, რომელმაც სრული ტრიუმფით ჩაიარა და ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ნინო ანანიაშვილისთვის დამახასიათებელმა მაღალმა ხელოვნებამ.

**– ბატონო, მინისტრო, ვიცით, რომ თქვენი ქვეყანა ძალიან ზრუნავს იაპონური ენის, კულტურის მსოფლიოში პოპულარიზაციისთვის. რა კეთდება საქართველოსთვის იაპონიის უკეთ გასაცნობად?**

– ქვეყნებს შორის ურთიერთობების გასავითარებლად საჭიროა, რომ ხალხმა კარგად იცოდეს ერთმანეთის შესახებ. ამ თვალსაწიერიდან, 2009 წლის 1 იანვარს საქართველოში გახსნილმა იაპონიის საელჩომ ჩაატარა მრავალი კულტურული ღონისძიება, სადაც წარდგენილ იყო ტრადიციული იაპონური კულტურის სხვადასხვა ასპექტი: კიმონო, სადო, იკებანა, აიკიდო, შიოდო. ასევე ჩატარდა იაპონური თოჯინების, ორიგამის გამოფენები, ჩატარდა იაპონელი მუსიკოსის კონცერტი.

ძალებს არ დავზოგავთ იმისთვის, რომ ქართველმა ხალხმა უკეთ გაიცნოს იაპონური კულტურა და ჩვენი ხალხები დაუახლოვდნენ ერთმანეთს. 3 აგვისტოს, ზუსტად იმ დღეს, როდესაც ჩვენ აღვნიშნავთ ჩვენ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების მე-20 წლისთავს, თბილისში გაიმართება იაპონური კინოს ფესტივალი. ასევე შემოდგომაზე დაგეგმილია იაპონური კულტურული ღონისძიებები „იაპონიის შემოდგომის“ პროგრამის ფარგლებში. იმედი მაქვს, კმაყოფილი დარჩებით ამ ღონისძიებებით.

ინტერვიუს უძღვებოდა
**ალეკო ასლანიშვილი**

◉ ინფორმაცია

## ნაციონალებმა მაჟორიტარები წარადგინეს

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენას იწყებს.**

**ამის შესახებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ იტყობინებიან.**

**მათივე ცნობით, მაჟორიტარობის კანდიდატები პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ დმანისის, ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებს წარუდგინა.**

**— ჩვენი მიზანია, თითოეულ ოჯახამდე მივიტანოთ ქვეყნის განვითარებიდან მიღებული მეტი სარგებელი, რომ თითოეული ოჯახი უზრუნველყოფილი იყოს ხელმისაწვდომი ჯანდაცვით, აღმოიფხვრას უმუშევრობის პრობლემა და გაძლიერდეს ქართული სოფელი, — ნათქვამია „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.**

**რაც შეეხება კანდიდატურებს, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ თეთრიწყაროს რაიონში მაჟორიტარობის კანდიდატად დავით ბეჟუაშვილი უკვე წარადგინა, რომელიც ამ რაიონს ამ მოწვევის პარლამენტშიც წარმოადგენს. ბაქრაძემ ბოლნისში მაჟორიტარობის კანდიდატად კვლავ კობა ნაყოფია დაასახელა, დმანისის მაჟორიტარობის კანდიდატიც მმართველი გუნდიდან კვლავ ჯერ კიდევ მოქმედი დეპუტატი კახა ოქრიაშვილი იქნება.**

ინტერპრესი

**„უმუშევრად მიიჩნევა შრომისუნარიანი მოქალაქე, რომელიც არ არის დასაქმებული, არ იღებს შრომის ანაზღაურებას და სათანადო წესით დარეგისტრირებულია დასაქმების სახელმწიფო სამსახურში“, — ესაა არასამთავრობო ორგანიზაციის „უმუშევართა კავშირის“ მიერ შემუშავებული „უმუშევართა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონპროექტის ამონარიდი, რომელიც, თავის მხრივ, გაეროს 1986 წლის განმარტებას ეყრდობა. წინამდებარე პუბლიკაციის ამ ამონარიდით დაწყება რამდენიმე გარემოებამ განაპირობა. ჯერ ერთი, სადღეისოდ სწორედ უმუშევრობა, სტაბილური შემოსავლის არქონაა საქართველო მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის გაუსაძლისი სოციალური ყოფის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. მეორე ისაა, რომ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც წინასაარჩევნო პროგრამების ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ უმუშევრობის დაძლევას მიიჩნევენ. მესამე მიზეზი კი აღნიშნულთან დაკავშირებით დაგროვილი უამრავი საკითხია, რომელთაგან მთავარი მაინც სათანადო საკანონმდებლო ბაზის უქონლობაა, რასაც გადაბმულად ქვეყნის „პატარ-პატარა“ პრობლემა მოყვება, რომელთა გადაუჭრელად მთავარი მიზნის მიღწევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.**

როცა კი საქართველოს მთავრობის ახალი პრემიერ-მინისტრი დაინიშნა, თითქმის იმავდროულად მთავრობაში მეტად მნიშვნელოვანი დასაქმების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა შეიქმნა, რომელზეც ბიზნესმენი პაატა ტრაპაიძე დაინიშნა. უმუშევრობის პრობლემებზე, მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე, რედაქციის დავალებით, ცხადია, უწინარესად ახლად დანიშნულ სახელმწიფო მინისტრთან მინდოდა საუბარი, მასთან შეხვედრამდე კი, ბუნებრივია, პრობლემატიკაში საფუძვლიანად გარკვევას ვეცადე. ბატონ მინისტრთან შეხვედრას, მისი მოუცლელობის გამო, ვერაფრით ვეღირსე — ხან ლიტვაში ბრძანდებოდა მოადგილესთან ერთად იქაური გამოცდილების გასაზიარებლად, ხან რაიონებშია გასული ადგილზე მდგომარეობის გასაცნობად. მოკლედ, ორ კვირაზე მეტმა დრომ ისე განვლო, სარედაქციო დავალება შეუსრულებელი დამრჩა. თუმცა მანამდე იმ არასამთავრობო ორგანიზაციის — „უმუშევართა კავშირის“ ხელმძღვანელს **თამარ იოვაშვილს** შევხვდი, რომლის შემუშავებული კანონპროექტის ამონარიდით დავიწყე ეს წერილი.

— „უმუშევართა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონპროექტზე მუშაობა კავშირმა შარშან ივნისში, ფაქტობრივად, შექმნის დღიდან დაიწყო, — თქვა ქალბატონმა თამარმა. — მასში ქვეყანაში უმუშევრობის დასაძლევად აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის საფუძვლები ჩამოვაყალიბეთ, მაგრამ დოკუმენტი დაგვიწუნეს ფინანსური დაუსაბუთებლობის გამო, თუმცა ამის გაკეთება, ჩვენი აზრით, ქვეყანაში უმუშევართა ზუსტი ოდენობის დაუდგენლობის გამო შეუძლებელია. მართალია, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური უმუშევრობის თაობაზე პროცენტულ მონაცემებს კი აქვეყნებს, მაგრამ ისინი, ჩვენი აზრით, სინამდვილეს არ შეესაბამება. კერძოდ, **საქსტატის მონაცემებით, 2011 წელს საქართველოში დაუსაქმებელი იყო შრომისუნარიანი მოსახლეობის 15,9 პროცენტი.** მაგრამ საქმე ისაა, ეს რიცხვი საქსტატმა სოციალური გამოკითხვის მეთოდით დაადგინა, ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ იგი იმ შეფარდებით უნდა დადგინდეს, რომლის მრიცხველში უმუშევართა, მნიშვნელში კი — შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვები იქნება. ეს, ჩემი აზრით, იმიტომ კეთდება, რომ **რეალურად უმუშევრობის დონე გაცილებით მაღალია, რის გამხელა მთავრობას არ სურს.**

ქალბატონ თამარ იოვაშვილის თქმით, უმუშევართა კავშირი მიესალმება დასაქმების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობის შემოღებას და დიდი გულისყურით ადევნებს თვალყურს, როგორ აპირებს მთავრობა მუშაობას.

— ჩვენ იმთავითვე გავაკეთეთ განცხადება იმის თაობაზე, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე პრობლემის თუნდაც რაღაც ხელშესახებ დონეზე გადაჭრა შეუძლებელია, რადგან **ამ მოკლე დროში უმუშევართა უბრალოდ რეგისტრირებაც ვერ მოესწრება, ამიტომაც საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ახლად გამოქვეყნებული პროგრამა და დანაპირები სხვა არაფერია, თუ არა წინასაარჩევნო პიარი,** — ამბობს „უმუშევართა კავშირის“ ხელმძღვანელი. **— მერე კი უმუშევართა და სამუშაოს მაძიებელთა ერთობლივად რეგისტრირება დაიწყეს, რაც ასევე ძალზე საეჭვო მომენტია, რადგან სადღეისოდ ქვეყნისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია უმუშევართა რიცხოვნობის დადგენა, თორემ სამუშაოს მაძიებელთა რიცხვი, სავსებით გასაგებ მი-**

# უმუშევარი ვის ჰქვია, კანონმდებლობისთვის უცნობია

## ანუ პრობლემა, რომელიც საქართველოს მთავრობისთვის პრობლემა არ ყოფილა




**ზეზთა გამო, შეიძლება სულაც მუდმივი იყოს, რადგან თითქმის ყველა ყოველთვის უკეთეს სამუშაოს შოვნაზე ფიქრობს!**

ქალბატონ თამარის თქმით, სწორედ ეს გარემოება გახდა იმის მიზეზი, რომ უმუშევართა კავშირმა სახელმწიფო მინისტრს მონიტორინგის ჩატარების უფლების მინიჭების თხოვნით მიმართა. გარდა ამისა მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ, როგორც გამოცხადდა, უმუშევართა და სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრირება კარდაკარ ჩამოვლის პრინციპით ჩატარდება, ანუ აღმრიცხველები ელექტრონული ნომრების მიხედვით ყველა ოჯახში მივლენ.

მისი აზრით, ამოდენა **შრომის გაწევასა და სახელმწიფო სასხრების ხარჯვაზე გაცილებით უკეთესი და იაფი სოციალური რეკლამა იქნებოდა და ყველა დაინტერესებული პირი თავად მიაკითხავდა აღრიცხვის პუნქტს, ან ელექტრონულად დარეგისტრირდებოდა.** შერჩეული სქემით მოქმედება კი სოცაგენტების სათანადო ტრენინგებს მოითხოვს, ფუნქციის დამატებასთან დაკავშირებით კი სამი ათასი კაციდან თითოეულს 400-400 ლარს ხელფასზე დაუმატებენ... განა ადვილად განსაჭვრეტი შედეგის მიღების გათვალისწინებით, ამას სახელმწიფო მიდგომასთან რაიმე კავშირი აქვს? თანაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ, ყველა სიკეთესთან ერთად, უმუშევართა და სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია ქვეყნის 25 ქალაქში უნდა ჩატარდეს, ანუ ყველგან არა...

2006 წლიდან საქართველოში ახალი შრომითი კანონმდებლობა მოქმედებს, რომლის თანახმად ადრე არსებული დასაქმების სამსახური გაუქმდა და აგერ უკვე ექვსი წელია, მისი ფუნქცია არც ერთ სტრუქტურას არ შეუთავსებია და, შესაბამისად, უმუშევრობის პრობლემატიკაზე კონკრეტულად არც არავის ულვაწია.

— სხვას თავი რომ დავანებოთ, მთელი ამ ხნის მანძილზე უხეშად ირღვევა ქვეყნის ძირითადი კანონი — კონსტიტუცია, რომლის 32-ე მუხლში, კერძოდ, აღნიშნულია: „სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილი **საქართველოს მოქალაქეებს (ხაზგასმა ჩემია, რის მიზეზზე ქვემოთ ვილაპარაკებ — ო.ტ.**) დასაქმებაში და უმუშევრობის სტატუსი განისაზღვრება კანონით“, თუმცა ეს მოთხოვნა დღესდღეობითაც შეუსრულებელია, — გულდაწყვეტით ამბობს ქალბატონი თამარი. — სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **საქართველოს კანონმდებლობისთვის ცნება „უმუშევარი“ ამჟამად უცნობია, თითქოს ჩვენში ამ კატეგორიის ხალხი საერთოდ არ არის. ახლახან კი, უცბად, საპარლამენტო არჩევნებამდე ორიოდე თვით ადრე, ნაცმოძრაობამ, ჩემი აზრით, დაუფარავად აღიარა, რომ რასაც აქამდე აკეთებდა, ყველა ნაბიჯი მცდარი იყო და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ძირგამომთხრელი.**

არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის თქმით, ჯერაც უცნობია, აპირებს თუ არა ხელისუფლება უმუშევრის სტატუსის განსაზღვრას, რადგან ამჟამად პირველადი რეგისტრაცია ოთხ პუნქტად ტარდება — ესენია, კერძოდ, **უმუშევრები, სამუშაოს მაძიებლები, თვითდასაქმებულები და დროებით დასაქმებულები. ამ მონაცემთა მიხედვით ცალ-ცალკე შეიქმნება აღნიშნული კატეგორიების ხალხისა და ვაკანსიების ელექტრონული ბაზა, ყველა უმუშევარს ექნება თავისი ელექტრონული ბოქსი, რომელიც ვაკანსიების მონაცემებით შეივსება, რომლებიც კონკრეტული პირის კვალიფიკაციასა და სურვილს შეესაბამება.**

— სიმართლე გითხრათ, რამდენად რეალური იქნება ამ გზით კაცისთვის სამსახურის მოძებნა, ძნელი სათქმელია, — ამბობს ქალბატონი თამარი. — თავად ბატონი სახელმწიფო მინისტრის თქმით, ეს შემდეგნაირად მოხდება: **ვინმე, ვთქვათ, პროვინციელი უმუშევარი, კომპიუტერში ნახავს, თუ რა ვაკანსია შეესაბამება მის კვალიფიკაციასა და მოთხოვნას, რისთვისაც სადმე წასვლა არ დასჭირდება და ამის შესაბამისად იმოქმედებს. მე ვკითხე ბატონ ტრაპაიძეს: — ეგ ყველაფერი, ვთქვათ, მართლაც ასე უნდა მოხდეს, მაგრამ იქნებ გამარკვიოთ, საიდან აქვს პროვინციელ უმუშევარ კაცს კომპიუტერი და ინტერნეტი? — თუ არა აქვს, მაშინ იგი უნდა მივიდეს პოლიციაში, სადაც ამ მიზნისთვის შესაბამისი რესურსი იქნება გამოყოფილი და იქ მიიღებს მისთვის საინტერესო ინფორმაციას,** — მიპასუხა სახელმწიფო მინისტრმა.

— ფაქტობრივად, გამოდის, რომ ქვეყანაში უმუშევრობასთან ბრძოლა ისევ პოლიციასა და იუსტიციების სახლებს უკავშირდება, — ასკვნის თამარ იოვაშვილი. — მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დაძლევა დიდად გაპიარებული დანაპირებია და ბატონი სახელმწიფო მინისტრი „უმუშევართა კავშირს“ პროცესის მონიტორინგის უფლების მოცემას დაგვპირდა, რომელსაც ჩვენი აქტივისტები განახორციელებენ, სიმართლე გითხრათ, მისი სრულფასოვნად შესრულება და, მით უმეტეს, კარგი შედეგის მიღება გარკვეულ ეჭვს ბადებს.

**ოთარ ტურაბელიძე,**

(დასასრული იქნება)

**◎ სოფელი**

# რთველი მალე დაიწყება, მთავრობა კი...

**კონკრეტულად რა გავლენას მოახდენს კახეთში მომხდარი უპრეცედენტო სტიქია „რთველი 2012“–ზე ამ დრომდე უცნობია. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ რეგიონს ყურძნის მოსავლის თვალსაზრისით მინიმუმ 35-პროცენტიანი ზარალი მიადგა. ამიტომ, ჯერჯერობით, უცნობია, რა მოსავალს მიიღებენ რეგიონში, აქედან რა ნაწილი იქნება ხარისხიანი, ყურძენზე როგორი საბაზრო ფასი დაწესდება და საბოლოოდ, რა თანხას გამოყოფს სახელმწიფო სუბსიდირებისთვის.**

რეგიონში უმოსავლოდ წელს 20 ათასზე მეტი ოჯახი დარჩა და კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ცნობით, ამჟამად მთლიანად სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე მუშაობენ, ხოლო „რთველი 2012“-ის საკითხი ჯერ არ განიხილება. არადა, რთველის დაწყებამდე 25-30 დღე დარჩა. აგვისტოს ბოლოს ყურძნის კრეფა ყოველთვის დაწყებულია.

მათი ინფორმაციით, დაუზუსტებელია წლევანდელი რთველის სუბსიდირებაც, თუმცა სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით ამ საკითხზე მუშაობენ და ინფორმაცია ახლო მომავალში საჯარო გახდება.

ამას წინათ, კახეთში სტუმრობისას პრეზიდენტმა, განაცხადა, რომ წლეულს რთველი ჩატარდება როგორც არასდროს. სავარაუდოა, რომ ამ კონტექსტში გლეხებისთვის 1 კგ ყურძენზე ასანაზღაურებელი თანხა იგულისხმება. შარშან ფერმერებმა რქაწითელი 45-50 თეთრად ჩააბარეს (აქედან 15 თეთრი სახელმწიფო სუბსიდირება იყო), ხოლო საფერავი 70 თეთრად (25 თეთრი — სუბსიდია). დაახლოებით, 120 000 ტონა ყურძნის მოსავალი მოვიდა. 2010 წელთან შედარებით, მოსავლის ოდენობა 25%-ით იყო გაზრდილი.

წლეულს კი ყველაფერი საპირისპიროდაა. მოსავალი ისედაც არ იყო წინა წლის ტოლი და სტიქიამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. კახეთის რამდენიმე რაიონში ყურძნის მოსავალი 100 პროცენტითაა განადგურებული, მათ შორის, ველისციხესა და გურჯაანში. ვენახი მეტ-ნაკლებად გადარჩა საგარეჯოში, ლაგოდეხსა და ყვარლის რამდენიმე სოფელში. მთლიანად განადგურდა გავაზში, რომელიც ყოველთვის უხვმოსავლიანობით გამოირჩეოდა.

სოფლის მეურნეობის სფეროს ექსპერტი თამაზ კუნჭულია განმარტავს, **რომ საერთო დანაკარგი 35-40 პროცენტის ფარგლებში იქნება, ამიტომ 1 კგ ყურძენი 1,50 ლარზე ნაკლებად არ გაიყიდება. რაც შეეხება ჩაბარების პროცესს, ქარხნებს შემორჩენილი მარაგების რეალიზაცია მოუწევთ, რადგან არ ექნებათ სტიქიის გამო შემცირებული მოსავლის ჩაბარების რეალური შესაძლებლობა.**

**რაც შეეხება დანაკარგს, იგი, მისი აზრით, 35-40 პროცენტის ფარგლებში იქნება. სეტყვას რომელიც გადაურჩა, იქ ვენახს ხარისხი შეუნარჩუნდება, მაგრამ ნაწილობრივ დასეტყვილიც კი უხარისხო მოსავალს მოგვცემს“,** — აცხადებს კუნჭულია.

**ეკა ბაქრაძე**

**◎ ინფორმაცია**

### ოზურგეთელები ეჭვობენ, რომ მიწები მათ დაუკითხავად გაასხვისეს

**ოზურგეთის გამგეობას გუშინ რამდენიმე ათეულმა მიწათმფლობელმა მიაკითხა, რომლებიც ეჭვობენ, რომ მათი კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მათ დაუკითხავად გაასხვისეს.**

**როგორც ერთ-ერთმა მათგანმა, ნუნუ გაგუამ განაცხადა, 170-მდე ადამიანისთვის ორი დღის წინ ცნობილი გახდა, რომ დაბა ლაითურში მდებარე სასოფლო სამეურნეო მიწებზე, სადაც ჩაის პლანტაციები იყო გაშენებული, მათთვის უცნობი ადამიანების დაკვეთით სპეციალური ტექნიკა მუშაობს და პლანტაციები ნადგურდება.**

**მიწათმფლობელები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ ილია ვაშაყმაძეს შეხვდნენ.**

**როგორც მიწათმფლობელები აცხადებენ, იმ შემთხვევაში თუ მათ კითხვებს პასუხი უახლოეს საათებში არ გაეცემა, უფრო მასშტაბურ საპროტესტო მოქმედებებზე გადავლენ და ამასთან, სასამართლოს მიმართავენ.**

ინტერპრესი

გარემო

# ის, რაც მოხდა კახეთში, მხოლოდ დასაწყისია



**სტიქიაზე მეტად ქვეყანას მთავრობის უგუნურ-მტრული პოლიტიკა აზარალებს**

**ეკოლოგიური სამართლის ცენტრის თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ საქართველოს გაუდაბნოების პროცესი ელის. ამის ერთ-ერთი დასტურია კახეთში მომხდარი სტიქია, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, კახეთის სოფლების გარშემო საკოლმეურნეო ტყეების გაჩეხვამ გამოიწვია.**

— ყოველწლიურად საქართველოში ხეები უკანონოდ იჭრება და 2 მილიონი კუბური მეტრი ხე-ტყე ნადგურდება. დღეისთვის გრძელვადიანი იჯარით უკვე გაცემულია 200 ათასი ჰექტარი ტყის მასივი. სავარაუდოდ, საქართველოს ბიუჯეტის შემოსავალი აქედან 30 მილიონი ლარია, მაგრამ ამ 30 მილიონ ლარად მთლიანი ეკოსისტემა ნადგურდება, რადგან იჯარით გაცემულ ტერიტორიებს არავინ არ აკონტროლებს. მეიჯარე რას ახორციელებს, რას ჭრის და არის თუ არა ეს გეგმიური ჭრა, არავინ იცის. ფაქტობრივად, სატყეო სექტორი მიშვებულია. იგი ამ ხელისუფლებამ საერთოდ დაანგრია.

**1990 წელს სატყეო სექტორში 12 ათასი კაცი იყო დასაქმებული, დღეს კი 700 კაცს არ აღემატება მათი რიცხვი. ყოველწლიური დაფინანსება მაშინ 23 მილიონი ლარი იყო, ახლა კი 7 მილიონ ლარზე ნაკლებია.** ფაქტობრივად, საქართველოს გაუდაბნოების პროცესი ელის. ის, რაც კახეთში მოხდა, იმის შედეგია, რომ განადგურდა სოფლების გარშემო არსებული ტყეები, რასაც ადრე საკოლმეურნეო ტყეებს ეძახდნენ. განადგურდა ქარსაფარი ზოლები, რომლებიც იცავს სტიქიური უბედურებისგან ვენახებს, სავარგულებს. ეს რომ არ განადგურებულიყო, სტიქია ასეთი მასშტაბის არ იქნებოდა. რაც კახეთში მოხდა, არ შეიძლება, მარტო ტყის განადგურებას დავაბრალოთ, მაგრამ ერთ-ერთი წინაპირობა, გადამწყვეტი ფაქტორი სწორედ ისაა, რომ გარშემო ტყის მასივები განადგურებულია. მოგეხსენებათ, ტყეს დამცავი ფუნქცია აქვს, აკავებს წყალმოვარდნებს და წყალს იწოვს, რომ არაფერი ვთქვათ მის მიერ გამოყოფილ ჟანგბადსა და რეკრეაციულ ფუნქციაზე. ყველაფერი ეს ამათ გაანადგურეს. ადრე რიკოთზეც მოხდა წყალდიდობა, გამეჩხერებული ტყეების გამო წყალი მოვარდა, მანქანები მიწის ქვეშ მოიყოლა, ადამიანების მსხვერპლიც იყო. ასეთი ფაქტები მომავალშიც გახშირდება, რადგან ესენი ყველაფერს ანადგურებენ. მართალია, ამ 200 ათასი ტყის მასივიდან 30 მილიონ ლარს იღებენ, მაგრამ არ ფიქრობენ, რამდენი იხარჯება სტიქიის სალიკვიდაციოდ. ასი მილიონი დაიხარჯა ამ სტიქიისგან მიყენებული ზარალის გამო და ზარალი სრულად მაინც არ არის ანაზღაურებული.

**გაეროს მონაცემებით, ერთ ჰექტარ ტყის მასივზე ამერიკის შეერთებული შტატები 7,5 დოლარს ხარჯავს, ხოლო მოგება 6 დოლარია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში კი საშუალოდ იხარჯება 4,5 დოლარი და მოგება შეადგენს 1 დოლარს, საქართველოში კი ტყეებზე იხარჯება მხოლოდ 1 დოლარი და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მოგება შეადგენს 5,5 დოლარს. თქვენ წარმოიდგინეთ, რა შედარებაა. ამას გარდა, წინათ სატყეო ფართობებზე, ტყის ბუნებრივ განახლებასთან ერთად, აქტიურად მიმდინარეობდა ტყის დარგვა, რაც დღეს სრულიად შეწყვეტილია. 1990 წლის მონაცემებით, საქართველოში 57 რაიონული სატყეო მეურნეობა იყო. ყოველწლიურად 500 ჰექტარზე ირგვებოდა 600 ათასი ძირი ხე. დღეს კი დარგვა კი არა, პირიქით, ტყეები ნადგურდება. გარდა ამისა, არ ხდება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება და ტყის მავნებლებისგან დაცვა.**

**— განსაკუთრებით რომელი რეგიონის ტყეები ნადგურდება?**

— ხეები თითქმის ყველგან იჭრება — კახეთში, სამეგრელოში, განსაკუთრებით, სავალალო მდგომარეობაა მარტვილის რაიონში, გურიაში, აჭარაში, ანუ, სადაც კი ტყეები არსებობს, ყველგან მასობრივი ჭრებია. ზოგან მოსახლეობა ჭრის, ზოგან მოიჯარეები, რომლებსაც ტყეები სამართავად გადაეცათ. რეინჯერების რაოდენობაც ძალზე მცირეა.

**— რეინჯერობა სახიფათო პროფესიად იქცა, ახლახანსაც მოკლეს რეინჯერი.**

— დიახ, რეინჯერებს იარაღიც არა აქვთ. გარდა ამისა, მხოლოდ 700 კაცია დასაქმებული, ადრინდელი 12 ათასის ნაცვლად. ანაზღაურებაც 500 ლარი აქვს რეინჯერს. ამ დროს კი მინისტრს აქვს 8 ათასი. ეს პირდაპირ ხეთაგურისა და ხაჩიძის „დამსახურებაა“. ხაჩიძეს, რომელიც პოპულისტური განცხადებებით გამოდის და მიტინგებზე მივარდნითა და კლიპების დაწერით გვახსენებს თავს, ურჩევნია, დაცულ ტერიტორიებს მიხედოს.

უამრავი ზარი შემოგვდის ცენტრში, რომ სხვადასხვა რეგიონებში ჭრები გამუდმებით მიმდინარეობს.

**— წითელ წიგნში შეტანილი ხეებიც იჭრება?**

— რა თქმა უნდა, დაცულ ტერიტორიებზე ძირითადად წითელ წიგნში შესული სახეობებია. ამ ჭრების შედეგად წიფლის ჯიშის ხეები სულ გაანადგურეს, ახლა მუხებზე გადავიდნენ. მაგალითად, თიანეთში ჩინელებს გადასცეს ტყის მასივები და პირწმინდად მიმდინარეობს ჭრა.

**— გამოდის, ჩინელები საქართველოს ტყეებს ანადგურებენ?**

— ჩინელების კომპანიაა, თორემ, რეალურად, იქ ქართველები ჰყავთ დასაქმებული და ქართველები ჭრიან ტყეებს. როდესაც ანადგურებ ტყის მასივებს, ეს იმით გვიბრუნდება, რომ შემდგომში წყალმოვარდნებს, ღვარცოფებს ვიღებთ.

**— მოჭრილი ხეები სად გააქვთ?**

— ნაწილი თურქეთში გადის, ნაწილი, შეიძლება, აქაც იყიდება. თურქეთს გარდა, ჩვენი ხე-ტყე გადის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, მეზობელ სომხეთში, აზერბაიჯანში. აქაც კონტროლი მიშვებულია, რამდენს ჭრიან, რამდენი ნადგურდება, არავინ აკონტროლებს. სახელმწიფო მეიჯარის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული და მის მიერ წარდგენილ დოკუმენტს ენდობა. ამიტომაც ვიყავით 49-წლიანი იჯარის წინააღმდეგნი. არც 2-წლიან იჯარას ვეთანხმებოდით, მაგრამ 49-წლით ტყეს რომ გადასცემ, ფაქტობრივად, ეს ჩუქებაა და ტყის აღდგენა ვეღარ მოხდება. უნიკალური კურორტი ბახმარო სრულიად განადგურდა. ასევე, პრობლემაა დიდი ჰესების მშენებლობა. ამ დროს უნდა მოიჭრას ასობით ჰექტარი ტყის მასივი. ამდენად, ამ ხალხის ხელისუფლებაში ყოფნის ყოველი დღე საქართველოს ტრაგედიით მოუბრუნდება. აქ სახელმწიფოს დანაშაულია, თორემ მოქალაქეს როცა არ აძლევ გათბობის საშუალებას, ცხადია, იგი იძულებულია, ტყე მოჭრას. მართალია, ამას გამართლება არ აქვს, მაგრამ სახელმწიფოს თვითონ აქვს აღებული პოლიტიკა სატყეო სექტორის დაშლასა და განადგურებაზე. ენერგეტიკაში სატყეო სექტორის გადასვლა დიდი შეცდომა იყო.

**მანანა ნოზაძე**

ვის ინტერესებშია პანიკა?

# კონფლიქტის განახლების საფრთხე — ჭორი თუ მძიმე მოგონების გამოძახილი?

**თითქმის ყოველწლიურად, ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში იწყება ხოლმე მითქმა-მოთქმა კონფლიქტის განახლების საფრთხის შესახებ. ეს ხმები როგორც ცხინვალში, ისე გორის რაიონში სწრაფად ვრცელდება და ადგილობრივი მცხოვრებლების შეშფოთებას იწვევს.**

გორის რაიონის მოსაზღვრე სოფლებში რამდენიმე დღის წინათ გაჩნდა ინფორმაცია, რომ ცხინვალიდან ავტობუსებით ქალები და ბავშვები გაჰყავთ, გადაადგილდება რუსული მძიმე ტექნიკა და დე ფაქტო ხელისუფლება, რუს სამხედროებთან ერთად, კონფლიქტის განახლებისთვის ემზადება. ასეთ ინფორმაციას კომპეტენტური წყაროები, როგორც წესი, არასოდეს ადასტურებენ, ხმები და ჭორები მხოლოდ ხალხში ვრცელდება, ხალხიდან კი სოციალურ ქსელებში ინაცვლებს ხოლმე, მაგრამ ეს ჭორები პანიკის საფუძველს ნამდვილად ქმნის.



ეს ყველაფერი სადღაც მაისში დაიწყო და მთელი ზაფხული ხალხი დაძაბული იყო, მაგრამ გაურკვეველია, ეს ხმები საიდან მოდიოდა. ზუსტად იგივეს ამბობდა ყველა, რომ ქართულ მხარეს ტექნიკის გადაადგილება შეინიშნებოდა და ომი იქნებოდა...

ჩვენი ცხინვალელი წყაროების ცნობით, ავტობუსებით ჯავის მიმართულებით ბავშვები რამდენჯერმე მართლაც გაიყვანეს, მაგრამ ეს ბავშვები გადათხრილ და მტვრიან ქალაქს ახალგაზრდულ ბანაკებში გაარიდეს. გადაცემა „ეხო კავკაზას“ ჟურნალისტი ცხინვალში ზარინა სანაკოევა აცხადებს, რომ მისთვის უცნობია, ასეთი ჭორები სათავეს საიდან იღებს.

ზურაბ ბენდიანიშვილი, თავმჯდომარე კოალიციისა „დევნილთა უფლებებისთვის“, რადიო თავისუფლებასთან საუბარში აცხადებს, რომ ასეთი ინფორმაციის გავრცელება მძიმე მოგონების შედეგია. იგი იხსენებს 2004 და 2008 წლის ზაფხულის საომარ მოქმედებებს და ამბობს, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში შიში ისევ არსებობს, თუმცა ეს შიში უსაფუძვლოა, რადგან კონფლიქტის ზონაში არც ტექნიკის გადაადგილება და არც ესკალაცია არ შეინიშნება.

რეპორტაჟის დასაწყისში სოციალური ქსელები ვახსენეთ. სენსაციის მოყვარულები უკვე იმასაც წერენ, რომ კონფლიქტი 12 აგვისტოს განახლდება. კონფლიქტის შესაძლო განახლების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას დუმილით უპასუხებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, ამ მისიას კი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული აქვს შეთანხმება იმის შესახებ, რომ შეიარაღებული ნაწილების გადაადგილების შემთხვევაში ევროპელი მონიტორები წინასწარ უნდა იყვნენ საქმის კურსში ჩაყენებულები. გარდა ამისა, თიბილოვის ხელისუფლებაც ცდილობს, დააწყნაროს საკუთარი მოსახლეობა და აცხადებს, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობს.

**გოგა აფციაური**

ინფორმაცია

## აბიტურიენტთა და სტუდენტთა საპრეტენზიო განაცხადების მიღება 3 აგვისტოს დაიწყება

**აბიტურიენტთა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსში მონაწილეთა საპრეტენზიო განაცხადების მიღება 3 აგვისტოს დაიწყება და 8 აგვისტოს ჩათვლით გასტანს.**

**გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, სააპელაციო განაცხადები მიიღება თბილისში — ტექნიკური უნივერსიტეტის მე-6 კორპუსში (კოსტავას 77, საავაძის მოედანი), ხოლო რეგიონებში ყველა საგანმანათლებლო რესურსცენტრში. განაცხადები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 10.00-დან — 18.00 საათამდე.**



**ყველა აპლიკანტს შეუძლია, გაასაჩივროს ერთი ან რამდენიმე ტესტური დავალების შეფასება. სრულწლოვანი აბიტურიენტის ნაცვლად საპრეტენზიო განაცხადის შეტანა შეუძლია პირს, რომელიც წარმოადგენს სათანადო წესით დამოწმებულ მინდობილობას. ერთი გამოცდის შედეგის გასაჩივრების საფასური 50 ლარი. პირებს, რომლებსაც აპელაციის შედეგად შეფასება შეეცვლებათ, გადახდილი თანხა უკან დაუბრუნდებათ. ამისათვის, მათ განცხადებით უნდა მიმართონ გამოცდების ეროვნულ ცენტრს საბოლოო შედეგების (ჩარიცხვების) გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში.**

**აპელაციის საფასურის გადახდა შესაძლებელია „საქართველოს ბანკისა“ და „ბაზისბანკის“ ფილიალებში.**

ინტერპრესი

თენგიზ არჩვაძე — 80

# „ბილწთ არ შავეკვრი ზავითა!“

ახლა უფრო ხშირად შინაა, — მეუღლე მყავს ავად და ვეღარ ვცილდებიო, მეუბნება. ისე, თუკი დრო აქვს, ერთთავად, მცხეთასთან ახლოს, ლაშარიჯვარში, აგარაკზეა განდეგილი, უსმენს რადიოს და ხანდახან „გიჟები“ თუ ესტუმრებიან, იმათ მასპინძლობს.

— ტელევიზორი ხომ გაქვთ?

— კი, მაგრამ, მარტო ჩოგბურთს ვუყურებ...

— პოლიტიკა!..

— აპაპაპა... არ მაინტერესებს! მაგათ დაღუპეს ქვეყანა!.. „რაც უნდა ჭირი მამკერძონ, ბილწთ არ შავეკვრი ზავითა“!

— არადა, დიდი ამბები ხდება... „ქართული ოცნება“ აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას.

— ვინც საქართველოს გადამირჩენს, იმას გაუმარჯოს!.. მე ის ვიცი, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილის წყალობით ხუთ სულს გაგვაქვს თავი...

— ამას ამბობს თენგიზ არჩვაძე — ქართველი ხალხის ერთ-ერთი უსაყვარლესი მსახიობი, რაინდი კაცი, რომლის დონის ხელოვანს ჰოლივუდში ძეგლს დაუდგამდნენ!..

— კარგი რა, ნუ „გარეკე“!.. (ირონიულად იღიმება), ხომ გამიხსნეს ვარსკვლავი მარჯანიშვილის თეატრის წინ?!. ჩვენ აგერ, გუშინ, ქართველი საბჭოთა მსახიობები ვიყავით, სულ სხვა წესითა და რიგით ვცხოვრობდით. თუმცა, უდიდესი დაფასება ჰქონდა ჩვენს პროფესიას... საკმაო ჰონორარსაც ვიღებდი... ვიღებდი, ვხარჯავდი, მეტი რა შემრჩა... ახლა, კიდევ გიმეორებ, ბიძინა ივანიშვილის წყალობით ვარსებობ... ეეეე... ეგ არი, რომ ჩემი ხალხის უდიდეს სიყვარულს ვგრძნობ.

— (ვეხუმრები) განსაკუთრებით — რაჭველების...

— რა გასაკვირია, ჩემი მშობლიური კუთხეა, თუმცა, თბილისში, „ვორონცოვზე“ დავიბადე და გავიზარდე... მამაჩემი ჭიათურაში გაზეთის რედაქტორი იყო. ესე იგი, შენი კოლეგა... ორჯონიკიძე დასდევდა დასაჭერად... მეპურეებში ჩაჯდა და გადარჩა... რომ ვუთხარი,



რატომ ჩაჯექი მეპურეებში-მეთქი, მაშინ შენ არ მეყოლებოდიო... გესმის?.. შენ არ მეყოლებოდიო!.. 24-ში მამაჩემის 14 დედმამიშვილი შორაპანში დახვრიტეს... სისხლი ასხამდა თურმე ხის ვაგონებიდან... ეეეე... რა დააშავა ამ ბედკრულმა ქვეყანამ ასეთი. შაჰ-აბასმა ასი ათასი კაცი გარეკა საქართველოდან, ახლა მილიონზე მეტი თავისითაა გაქცეული... გაუსაძლისი მდგომარეობაა... ერთი მეგობარი მყავს, ნიჭიერი კაცია, იცნობ შენ... ბელგიაში მიდის სამუშაოდ... აბა, რა ვქნა, ხუთი შვილი მყავსო... ახლა ვიღას ვუნდივარ, მაგრამ იყო დრო, მეც მიმიწვიეს გადაღებაზე გერმანიაში რამდენიმე თვით. არ წავედი!.. მე დრეზდენი რად მინდოდა, თუ ზედაზენს არ ვნახავდი ორ კვირაში ერთხელ მაინც!..

— თეატრში თუ დადიხართ?..

— არა... 1954 წელს მიმიყვანა მარჯანიშვილის თეატრში ვასო ყუშიტაშვილმა, მე ბედნიერი კაცი ვარ, რომ ვასო გოძიაშვილთან, აკაკი კვანტალიანთან, შაშო გომელაურთან ჭიქა ამიწევია...

— გიორგი შავგულიძესთან...

— მაშ... გიორგი შავგულიძეს მე დავუხუჭე თვალები...

— კინო?.. თქვენ ხომ ერთ-ერთი „პროდუქტიული“ კინომსახიობი ხართ?..

— გადამიყოლა კინომ... თუმცა, პოპულარობისთვის, იცოცხლე, კარგია...

— როლებიც ისეთი გქონდათ, ყველა ქართველი მსახიობი რომ ინატრებდა... მარტო არსაკიძე და ალუდა ქეთელაური რად ღირს... რომელ კინორეჟისორთან გერჩივნათ მუშაობა?..

— ყველა თავისებურად ძვირფასო იყო...

— თეატრში, ბოლოს, გვარიანად გაწყენინეს...

— ეჰ... ნუღა გამახსენებ...

* * *

მდაააა... დრო მიდის და არ ჩერდება... დღეს, 3 აგვისტოს, თენგიზ არჩვაძეს 80 წელი უსრულდება. მადლობა ღმერთს, რომ მტრის ჯინაზე, მაინც მხნედ არის, მაინც ბრგედ არის... სწორედაც ასე უნდა იყოს დიდხანს, რადგან ასეთი კაცები აცოცხლებენ საქართველოს — გაუბზარავი, უმწიკვლო კაცები, რომლებიც, არამც და არამც, ბილწთ ზავით არ შეეკვრიან!

**ვილენ მარდალეიშვილი**

ფოტოფაქტი



# მიშას „ლოპოტის ტბა“ და „შადრევანი“ ნაძალადევში

**ხალხი დაკვირვებულია — არჩევნებისთვის მზადებას ნაციონალები მაშინ იწყებენ, თბილისის ქუჩებში მძიმე ტექნიკა და ჭრელაჭრულა ფერებში გამოწყობილი ჩაფხუტიანები რომ გამოჩნდებიან. ასე იყო ახლაც. მოვიდნენ ნაძალადევში, დაიწყეს აზომვები და ღიმილით გამოგვიცხადეს, ჭყონდიდელისა და ზესტაფონის ქუჩებზე მთელ სიგრძეზე საკანალიზაციო ქსელი უნდა გამოვცვალოთო. დაიწყო და რა დაიწყო! მთელი ქუჩები გადაითხარ-გადაიკეტა, ერთ დღეს თხრიდნენ, მეორე დღეს მიწითა და ქვა-ღორღით ავსებდნენ.**

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ივნის-ივლისის ხვატსა და პაპანაქებაში თავდაუზოგავად იმუშავეს. მართალია, საკანალიზაციო მილების ჩაწყობა-დამონტაჟებას სატელეფონო და ახლად გაყვანილი „ინტერნეტქსელის“ კაბელებიც და ალაგ-ალაგ სასმელი წყლის მილებიც შეეწირა, მაგრამ ეს რა მოსატანია იმ „საშვილიშვილო“ საქმესთან შედარებით, რასაც წინასაარჩევნო „მარათონი“ ჰქვია.

ივლისის მიწურულს, საქმეს რომ მორჩნენ, დაგვემშვიდობნენ და დაგვამუნათეს — აი, როგორ ზრუნავს თქვენზე ნაციონალური მოძრაობაო (ამით არჩევნებში „ხუთიანის“ შემოხაზვას გვირჩევდნენ).

მძიმე ტექნიკა არ ჰქონდათ გაყვანილი, საღამო ხანს რაღაცამ საბედისწეროდ რომ იქუხა, მაგრამ რა იქუხა! ჯერ ერთ ადგილას ამოხეთქა შადრევანმა, მერე მეორე, მესამე ადგილას და ასე გეომეტრიული პროგრესიით გაჰყვა მთელ ქუჩას.

მკითხველს დავაკვალიანებ და მეგზურობას გავუწევ: ჭყონდიდელის ქუჩა ცოტნე დადიანის (ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური მაგისტრალის) პარალელური ქუჩაა „ნაძალადევის“ მეტროდან თითქმის დიდუბემდე. ზესტაფონის ქუჩა კი ცოტნე დადიანიდან მეტროსადგურ „გოცირიძემდე“ ჩადის და ჭყონდიდელის ქუჩას კვეთს. მოძრაობაც საკმაოდ გადატვირთული იყო ამ მონაკვეთზე. იქვე, ასიოდ მეტრში, მიშას საუკუნის ძნელებად და ვარდების რევოლუციის საოცრებად მონათლული თბილისის ერთადერთი „აკვაპარკი“ მდებარეობს.

სამი დღეა, უმოწყალოდ მოდის სასმელი წყალი, დაიტბორა უბანი, ამოავსო ახალი მილებისთვის გათხრილი საკმაოდ ღრმა (ოთხი მეტრის სიღრმისა) თხრილები, განმკითხავი კი არა ჩანს. — „არჩევნებამდე ორი თვეა დარჩენილი, ჯერ რაეჩქარებათო“, — თავს იიმედებენ ნაძალადეველები. ენაკვიმატებმა ეს გუბურები „მიშას ნახალოვკურ ლოპოტად“ და „ღარიბების აკვაპარკად“ მონათლეს. ზოგმა ისიც თქვა, თუ ვერ მოასწრეს, ბიძინას გადაულოცავენო.

— ამისთანებისთვის გაგვიძლია? მაგრამ შინ სასმელი წყალი არ ჰქონდეს ასობით ოჯახს (ორი დღეა, გადაკეტესა) და ქალაქში ასე უპატრონოდ იღვრებოდეს? ეს დანაშაულია!

ისე ამ ხვატში ცოტას გვაგრილებს კიდეც. ამასაც ჩვენზე ზრუნვის გამო აკეთებენ ნაციონალები. ყველას ხომ არა აქვს იმის სახსრები, რომ „მსოფლიო მარგალიტად აღიარებულ“ ანაკლიასა და ბათუმში, ანდაც ორ ნაბიჯზე „აკვაპარკში“ დაისვენოს?! — სიმწრით იცინიან ნაძალადეველები.

**ავთანდილ ბექაური,**
ავტორის ფოტო.

**სურათზე:** ასე გამოიყურება ზესტაფონისა და ჭყონდიდელის ქუჩების გზაჯვარედინი.




„სად წაიყვან სადაურსა“

# კრებულიდან „100 ქართველი უცხოეთში“

## დაუდ ხანი, XVI ს-ის II ნახევარი – XVII ს-ის I ნახევარი



**სახელგანსმენილი ალავერდი ხანის შვილი, განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი (1625-1633). ვერც მამისა და ვერც უფროსი ძმის, იმამყული ხანის დიდებამ ის ვერ დაჩრდილა და წარმატებული პოლიტიკური კარიერა შეიქმნა.**

1614 წელს სეფიანთა ლაშქარმა დაუდ ხანის სარდლობით დაამარცხა პორტუგალიელები, რის შედეგად ირანს მიემატა ახალი ტერიტორია გომბრუნი თავისი სანაპირო ზოლით. შაჰ-აბასმა გომბრუნი აქცია ქვეყნის მთავარ ნავსადგურად და ბენდერ-აბასი უწოდა.

იმამყული ხანის ჯარებს 1618 წელს არდებილთან დაუდ ხანი მეთაურობდა და მამაცურად იბრძოდა. იგი გახლდათ შუამავალი შაჰ-აბასსა და თეიმურაზ I-ს შორის 1625 წელს თბილისის ახლოს მიმდინარე მოლაპარაკებისას, ცდილობდა შაჰის დაყოლიებას საქართველოსადმი კომპრომისული პოლიტიკის გატარებაზე და მარჯვედაც გაართვა თავი ამ რთულ საქმეს.

დაუდ ხანს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გიორგი სააკაძესთან და მარტყოფის აჯანყების მომზადებაშიც გახლდათ გარეული. ბეგლარბეგობისას არ ასცდა ირანის შაჰის სეფი I-ის რისხვა და მეჯლისიდან გაძევებამ უწია. დაუდ ხანმა წყენა კი ჩაიკლა გულში, მაგრამ შეურაცხყოფა არ დაივიწყა. 1633 წელს ის აქტიური მონაწილე გახდა თეიმურაზ I-ის წინამძღოლობით სეფიანთა წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში.

სეფი I-მა ქართველთა მეფეს დაუდ ხანის გაცემა მოსთხოვა, თუმცა უარი მიიღო. დაუდ ხანმა ოსმალეთს მიაშურა და იქ შეეფარა.

მოამზადა
**თამაზ ეზანოიძე**

**სააქციო საზოგადოება „ხიდმშენი“-ს დირექტორატის განცხადება**

**2012 წლის 23 აგვისტოს დღის 15 საათზე ჩატარდება სს „ხიდმშენი“-ს მორიგი საერთო კრება. საერთო კრების დღის წესრიგია:**

1. წლიური შედეგების განხილვა;
2. სააქციო საზოგადოება „ხიდმშენი“-ს წესდებაში, მომხსენებელი სს „ხიდმშენი“-ს დირექტორი ფინანსების დარგში ზაზა დოლაშვილი, ცვლილებების შეტანა, კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭოს გაუქმება და მის ნაცვლად დირექტორთა საბჭოს შექმნა, მომხსენებელი აღმასრულებელი დირექტორი გრიგოლ ჩიქოვანი.
3. სს „ხიდმშენი“-ს სტრუქტურული რეორგანიზაცია; მომხსენებელი აღმასრულებელი დირექტორი ჯიმი მამალაძე.

სს „ხიდმშენი“-ს აღმასრულებელი დირექტორატი

**განცხადება**

ს/ს „ბორჯომის ტურისტული გაერთიანების“ დირექცია აცხადებს, რომ 2012 წლის 22 აგვისტოს დანიშნულია აქციონერთა კრება 13 საათზე. მისამართი ბორჯომი, „პლატო“.

დღის წესრიგი:

სხვადასხვა საკითხები.

ს/ს „ბორჯომის ტურისტული გაერთიანების“ დირექცია.

№147. პარასკევი, 3 აგვისტო, 2012 წელი.

# ყაზახეთი-საქართველო: მეგობრობისა და თანამშრომლობის 20 წლისთავი

**გვესაუბრება საქართველოში ყაზახეთის რესპუბლიკის საქმეთა რწმუნებული ადილ ტურსუნოვი**



**— 2012 წლის 23 ივნისს აღინიშნა საქართველოსა და ყაზახეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 20 წლისთავი. ეს ორ მეგობარ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მნიშვნელოვანი თარიღია...**

— დიდი კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ ამ ზღვართან ასტანა და თბილისი მივიდნენ მეტად კარგი სიმდიდრით. გასაგებია, მეგობრულ ურთიერთობათა მატიანეს ჩვენს ხალხებს შორის აქვს გაცილებით უფრო ღრმა, საუკუნოვანი ფესვები, ამავე დროს, ეტყობა, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ სწორედ განვლილი ორი ათეული წლის შემდეგ ჩვენ შევძელით, გაგვეხსნა ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელოვანი პოტენციალი, მყარად დავიმკვიდრეთ ჩვენი რეგიონების — ცენტრალური აზიისა და სამხრეთი კავკასიის — ლიდერების ადგილი.

**— ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთმოქმედებათა რომელი პრინციპები იყო მიღებული საფუძვლად?**

— ისტორიული თვალსაწიერით შედარებით მოკლე პერიოდში ჩვენმა მხარეებმა პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროებში შექმნეს სოლიდური მარაგი. ასეთი წარმატების მთავარი საიდუმლო, ჩემი აზრით, არის ის, რომ ასტანა და თბილისი ურთიერთ დიალოგს აგებდნენ ძირითად ურთიერთობათა შესახებ იმ ხელშეკრულების დებულებათა მკაცრ დაცვაზე, რომელსაც 1993 წლის 1 ივნისს ქ. ასტანაში ხელი მოაწერეს პრეზიდენტებმა ნურსულთან ნაზარბაევმა და ედუარდ შევარდნაძემ.

**— თანამედროვე ეტაპზე რა ძირითადი ფაქტორები განსაზღვრავენ საქართველო-ყაზახეთის თანამშრომლობას?**

— მოგეხსენებათ, ასეთი ფაქტორი ბევრია, მაგრამ განმსაზღვრელია, რასაკვირველია, ის განწყობილება, რომელსაც გვთავაზობენ ორი სახელმწიფოს ლიდერები — პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი და პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ვიზიტები უმაღლეს დონეზე და რეგულარული შეხვედრები საერთაშორისო სამიტების ფონზე ჩვენს ხელმძღვანელებს საშუალებას აძლევენ, მუდმივად „უთანხმებდნენ ერთმანეთს დროს“ და განსაზღვრავდნენ პერსპექტიულ ამოცანებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ორმხრივი დიალოგის გაფართოებასა და გაღრმავებას. დასახული მიზნების მიღწევისთვის მხარეებმა შექმნეს სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა — დაახლოებით 50 სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობოთაშორისი და უწყებათაშორისი დოკუმენტი. ამჟამად ჩვენ კიდევ 6 დოკუმენტს ვამუშავებთ.

**— ხშირად პოლიტიკური ურთიერთობა ბევრ სხვა დარგში განსაზღვრავს დიალოგის განვითარების ხასიათსა და დინამიკას...**

— მართალი ბრძანდებით. პოლიტიკაში ყაზახეთსა და საქართველოს შორის რაიმე პრობლემების არარსებობა საშუალებას გვაძლევს, აქტიურად შევუწყოთ ხელი ყველა სხვა დანარჩენ მიმართულებაში ჩვენს წინსვლას. მნიშვნელოვანია, რომ ორი დედაქალაქის მიდგომა რეგიონალური და საერთაშორისო ხასიათის პრაქტიკულად ყველა საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთს ემთხვევა ან ახლოს არის ერთმანეთთან. ყაზახეთის პარლამენტის მაჟილისში და საქართველოს პარლამენტში შეიქმნა და მოქმედებენ მეგობრობისა და თანამშრომლობის საპარლამენტთაშორისო ჯგუფები. ჩვენ მაღალ შეფასებას ვაძლევთ თბილისის მნიშვნელოვან წვლილს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოსძ 2010 წლის ასტანის თავმჯდომარეობით პრიორიტეტების რეალიზაციაში და საქართველოს მხარდაჭერას ქ. ასტანის კანდიდატურისთვის 2017 წელს გლობალური გამოფენის ექსპოს მოწყობაში. კონტაქტების განხორციელებაში მეტად გვეხმარება ჩვენს ქვეყნებს შორის უვიზო რეჟიმი.

**— რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ეკონომიკაში ყაზახეთი უდიდესი ინვესტორი იყო. როგორც ვითარდება ამჟამად სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა?**

— პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის ვიზიტმა თბილისში 2005 წელს „მწვანე შუქი“ აუნთო საქართველოს ეკონომიკაში ყაზახეთის კაპიტალდაბანდებათა დიდ ტალღას. ამის შედეგი გახდა აქ ჩემი ქვეყნიდან მთელი რიგი დიდ ბიზნეს-სტრუქტურების, მათ შორის „ყაზტრანსგაზ-თბილისის“, „ყაზმუნაიგაზ-სერვისის“ (ბორჯომში აშენებს სანატორიუმსძ, „ყაზტრანსოილის“ (ფლობს ბათუმის საზღვაო ნავსადგურსძ, „რომპეტროლი, „ბითიეი-ბანკის“ და „ხალიკ ბანკის“ მუშაობის დაწყება. თანაც ეს თანამედროვე საქართველოსთვის მეტად რთული დრო იყო, მაგრამ უმაღლეს დონეზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შეეტანათ წვლილი ჩვენი მეგობარი ქვეყნის პროგრესში. ეს ახლა არის იოლი, მოიზიდო ინვესტორები, როდესაც საქართველო დინამიკურად მიიწევს წინ პროგრესისაკენ და შექმნილია კარგი პირობები უცხოეთის კომპანიებისთვის, მაშინ კი ვითარება სრულიადაც არ იყო მარტივი. სამწუხაროდ, 2008 წლის ომმა თანამედროვე გეგმებში ნეგატიური კორექტივები შეიტანა. მაგრამ, ყაზახეთის კომპანიების მიერ დაწყებული პროექტები თანამიმდევრულად მიიწევენ წინ. ზოგიერთ სხვა ფაქტორებთან ერთად ამან საშუალება მოგვცა, მაგალითად, რამდენიმე წლის განმავლობაში გაგვეზარდა ორმხრივი საქონელბრუნვა: ქართული სტარდარტებით, ამ მაჩვენებელმა 2009 წელს შეადგინა 27,9 მილიონი, 2010 წელს — 90 მილიონი, 2011 წელს — უკვე 227 მილიონი აშშ დოლარი. მთლიანად შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ ყაზახეთის ბიზნესი საქართველოში ამჟამად საკმაოდ სერიოზულად არის წარმოდგენილი — თანაც ზემოაღნიშნული 7 სტრუქტურიდან (მათ შორის ავიაკომპანია „ეირ ასტანა“, რომელიც კვირაში ასრულებს 4 რეისს ალმატი-თბილისი-ალმატიძ 6 „სამრუკყაზინა“ ეროვნული კეთილდღეობის ფონდს ეკუთვნის.

**— ამ კონტექსტში საინტერესო იქნებოდა გაგვეგო ეკონომიკის სფეროში ორი ქვეყნის ურთიერთობათა პერსპექტივების შესახებაც...**

— ჯერ ერთი, სავაჭრო-ეკონომიკური მიმართულებით მუშაობის გააქტიურებისთვის შექმნილია შესაბამისი სამთავრობოთაშორისო კომისია, დღეისთვის ამ ერთობლივი ორგანოს 5 სხდომა გაიმართა. მისი ეფექტიანობა ყოველწლიურად იზრდება და იგი მიზნად ისახავს თანამშრომლობის გაღრმავებასა და გაფართოებას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ტრანზიტი, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, ფინანსები, ტურიზმი, ტრანსპორტი და სოფლის მეურნეობა. მეორეც, ყაზახეთის ბიზნესიც და საქართველოს ბიზნესიც მეტად დაინტერესებული არიან იმით, რომ ორი ქვეყნის მთავრობებმა შექმნან მათთვის ხელსაყრელი და სტაბილური პირობები ინვესტიციების დაცვისა და წახალისების შესახებ 1996 წლის ორმხრივი სამთავრობათშორისი შეთანხმების დებულებათა შესახებ.

**— ცნობილია, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის ტვირთების ტრანსპორტირება აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით საექსპორტო მარშრუტების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ვარიანტია...**

— დიახ, სამხრეთი კავკასიის დერეფანი ყაზახეთის საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაციის სტრატეგიის რეალიზაციისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. მისმა მოცულობამ 2011 წელს 126 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამავე დროს ყაზახეთის პროდუქციის ექსპორტმა მსოფლიო ბაზარზე 88 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა, მათგან 21 მილიარდ დოლარზე მეტი — ეს არანედლეული საქონელია. სწორედ ამიტომ შეიძინა კომპანია „ყაზტრანსოილმა“ ბათუმის საზღვაო ნავსადგური და სანავთობო ტერმინალი იქვე. ეს მთლიანად შეესაბამება ევროპასა და აზიას შორის ყაზახეთის იმ ისტორიული ხიდის როლის აღორძინების პოლიტიკას, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა ჩინეთის, ევროპის, რუსეთის, ცენტრალური აზიისა და სპარსეთის ყურის უდიდეს ბაზრებს.

ჩინეთიდან ევროპაში სატრანზიტო მარშრუტს ყაზახეთის გავლით აქვს უდავო უპირატესობა: ის მნიშვნელოვნად უფრო მოკლეა სუეცის არხის გავლით საზღვაო მარშრუტთან შედარებით. ამ მეგა პროექტის რეალიზაციის შედეგად 2020 წლისთვის ყაზახეთის გავლით სატრანზიტო ტვირთის ნაკადის მოცულობა უნდა გაიზარდოს თითქმის 2-ჯერ მის შემდგომ აყვანამდე, როგორც მინიმუმ, 50 მილიონ ტონამდე. მიმაჩნია, აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის მიერ ინიცირებულ მასშტაბურ პროექტს „აბრეშუმის ახალი გზა“. უეჭველია, რომ ამ ტვირთნაკადის ნაწილი გაივლის ხაზს აქტაუ-ბაქო-თბილისი-საქართველოს ნავსადგურები. ამისთვის ჩვენმა ორივე ქვეყანამ აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად „ხელდაკაპიწებულმა“ უნდა იშრომონ რეალიზაციისთვის „პრინციპისა — 5C“ — ესაა სიჩქარე, სერვისი, ღირებულება, შენარჩუნება და სტაბილურობა.

**— ცხადია, რომ თქვენი ქვეყნის ხელმძღვანელობა პრიორიტეტულ ყურადღებას დაუთმობს ეკონომიკურ განვითარებას. ამასთან ერთად, ყაზახეთში აქტიურად ვითარდება დემოკრატიზაციის გაღრმავების პროცესები...**

— ეს ასეა, ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის მიერ არჩეული გზა, წინმსწრები ეკონომიკური რეფორმებით, თანამიმდევრულად მტკიცდება და მყარდება პოლიტიკური გარდაქმნებით, რამაც საშუალება მისცა ყაზახეთს, გადაიქცეს ეკონომიკურად ძლიერ და დინამიკურად განვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ, რომელიც დღეს საერთაშორისო გაერთიანების პატივსაცემი და ავტორიტეტული პარტნიორია. ამ ევოლუციურ გზას „ყაზახეთის გზას“ უწოდებენ. ყაზახეთის დამოუკიდებლობის მე-20 საიუბილეო წელს შევძელით გაგვემყარებინა ყაზახეთში ეკონომიკური ზრდის მაღალი დინამიკა, მიუხედავად კვლავ მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა. ქვეყნის მთლიანი შინაგანი პროდუქტი 7,5 პროცენტით გაიზარდა და ერთ სულ მოსახლეზე მისმა მოცულობამ 11 ათას დოლარს გადააჭარბა. ჩვენ გვეამაყება ეს მაჩვენებლები, ვინაიდან ისინი 1991 წლიდან 16-ჯერ გაიზარდა. ქვეყნის ინდუსტრიულ-ინოვაციური განვითარების კურსის ორი წლის განმავლობაში აშენდა დაახლოებით 400 ახალი საწარმო. მრეწველობაში დანახარჯები ტექნოლოგიურ ინოვაციებზე გაიზარდა 8-ჯერ და 220 მილიარდი ტენგე შეადგინა. შრომის ნაყოფიერება გადამმუშავებელ დარგში გაიზარდა მთლიანად 20 პროცენტით. სწორედ ამ დარგში ვმუშაობთ ყველაზე მეტად. მასშტაბური გარდაქმნები მიმდინარეობს აგრარულ სექტორში. დღეს ყაზახეთი ორი მესამედით უზრუნველყოფს საკუთარ თავს ხარისხიანი სურსათითა და ნედლეულით. ჩვენ უზრუნველყოფის 100 პროცენტს ყველა სახეობაში მივაღწევთ უახლოეს წლებში. შარშან ყაზახეთის ეკონომიკაში მოზიდული იყო 18 მილიარდი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია. მთლიანად გრძელდება სტრატეგია „ყაზახეთი-2020“-ის რეალიზაცია.

**— როგორ ვითარდება ყაზახეთ-საქართველოს ურთიერთობანი ჰუმანიტარულ სფერში?**

— უკანასკნელ წლებში ქ. თბილისსა და სხვა ქალაქებში განხორციელდა კულტურული ხასიათის მთელი რიგი ღონისძიებანი, მათ შორის ფესტივალი „გზაჯვარედინი: ყაზახეთი — საქართველო“, ფილმ „მომთაბარის“ ჩვენება, ყაზახეთის შემოქმედებითი კოლექტივების კონცერტები, მიუზიკლი „კიზ ჟიბეკი“. ასტანაში გაიმართა „საქართველოს კულტურის დღეები“ საქართველოს კულტურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეების მონაწილეობით (დელეგაციას, 170 კაცის შემადგენლობით, ქ. თბილისის მერი გ. უგულავა ხელმძღვანელობდაძ. 2008 წლის სექტემბერში წინანდალში გაიმართა ჭავჭავაძეების მამულის სახლ-მუზეუმის გახსნა მისი რესტავრაციის შემდეგ. რესტავრაცია „ბითიეი-ბანკის“ სახსრებით განხორციელდა. ისტორიკოსები სწავლობენ ყაზახი პოლიტიკოსისა და პუბლიცისტის მუსტაფა ჩოკაის ცხოვრების საქართველოს პერიოდს. ის თბილისსა და ბათუმში 1919 წლის სექტემბრიდან 1921 წლის მარტამდე ცხოვრობდა. ჩემს დიდ მეგობარ ზურაბ ჯიბლაძესთან ერთად ვამზადებთ გამოცემას „პარალელური ისტორიები: ილია ჭავჭავაძე — აბაი კუნანბაევი“. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა რეგიონთაშორისი კავშირების განვითარებას. მოწესრიგდა კონტაქტები გარემოს ბუნების, სპორტის, კულტურის სამინისტროებს შორის. წელს საქართველომ და ყაზახეთმა ხელი მოაწერეს ტურიზმის დარგებს. საქართველოში დაახლოებით 50 ყაზახი ცხოვრობს, ბევრი მათგანი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საელჩოს მიერ მოწყობილ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ საქართველოსთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარება სამხრეთ კავკასიაში ყაზახეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება.

ესაუბრა
**გაბრიელ ნამთალაშვილი,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

---

**აშშ-ს კონგრესმა დაამტკიცა ახალი სანქციები ირანის წინააღმდეგ. ქვეყანა უკვე ყოველდღიურად 133 მილიონ დოლარს ხარჯავს**

თეთრ სახლში მიაჩნიათ, რომ ამერიკამ შეძლო შეექმნა სანქციების ყველაზე მკაცრი რეჟიმი, რასაც ოდესმე გადაჰყრია ირანი. მაგრამ ამის გამო დაზარალდა ჩინეთიც — ირანის ნავთობის მთავარი იმპორტიორი. ისრაელში კმაყოფილი არიან ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილებით, მაგრამ დარწმუნებული არიან, რომ მხოლოდ ძალით შეიძლება აიძულო თეირანი, უარი თქვას ატომურ ბომბზე. პენტაგონის ხელმძღვანელმა გასცა პირადი გარანტიები.



* * *

**ამერიკელებმა ბაშარ ასადის „არასამხედრო“ დამხობაზე 25 მილიონი დოლარი დახარჯეს**

სწორედ ასეთი თანხა, სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, გამოუყვეს სირიის ოპოზიციას მოქმედ რეჟიმთან ბრძოლისათვის. ამერიკის შეერთებული შტატები გვარწმუნებს, რომ ფული გამოიყოფოდა „არასამხედრო დახმარებისთვის“. ცალკე ჰუმანიტარულ დახმარებას უწევდნენ 64 მილიონი დოლარის დონეზე.

* * *

**აშშ-ს სასამართლომ უარყო რუსეთიდან გაძცეული ეძს-დეპუტატის ეგიაზარიანის სარჩელი სამართალდამცველის მიმართ**

პიოტრ ზალმაევი სტატიაში მოუწოდებდა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას უარი უთხრან აშოტ ეგიაზარიანს პოლიტიკურ თავშესაფარზე მისი კორუფციული წარსულის გამო. ამერიკელი სამართალდამცველის აზრს მხარი დაუჭირეს მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის ხელმძღვანელმა ლუდმილა ალექსეევამ და მოძრაობა „ადამიანის უფლებებისათვის“ ლიდერმა ლევ პონომარიოვმა.

* * *

**ჩავესმა განაცხადა, რომ ბრაზილიაში არ უმკურნალია და მტრებს „ხანგრძლივი სიცოცხლე“ უსურვა**

მან „გიჟები“ უწოდა იმ ჟურნალისტებს, რომლებიც ამას ამტკიცებენ. „მათ, ვისაც ჩემი სიკვდილი უნდა, მე ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებ, რომ მათ დაინახონ, თუ ბოლივარიული რევოლუცია როგორ გააგრძელებს თავის წინსვლას ბრძოლიდან ბრძოლისაკენ და გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ“, — თქვა ჩავესმა.

№147. პარასკევი, 3 აგვისტო, 2012 წელი.



# სერგეი კრემლიოვი

# დიდი ბერია

## რამდენიმე თავი ახალი წიგნიდან




ახლა ხრუშჩოვიც შეუპყრია პანიკას. ის ყველაფერს აკეთებს ბელადის ნდობის აღსადგენად, თავგამეტებით ეპირფერება და ელაქუცება... იგნატიევი კაი ხანია, რაც „ანგაჟირებულია“ და სტალინის დაცვა ისეა მისგან შერჩეული, რომ ბელადის მოშორება სწრაფად შეიძლება. ამასთან, პანიკას მიცემულ ხრუშჩოვს ჯერჯეროზით ჩუმ-ჩუმად აქეზებს გარემოცვა „მეხუთე კოლონიდან“.

მოლოტოვი და მიქოიანი ათვალწუნებულნი არიან და ნიკიტა სერგეევიჩს შეუძლია მათი მხარდაჭერის იმედის ქონა – არა, განა ბელადის ჩამოშორებაში, ღმერთმა დაიფაროს, არამედ მხარდაჭერისა ამხანაგ სტალინის სიკვდილის შემდეგ (ოი, როგორი სამწუხაროა!).

1953 წლის თებერვალი – ეს ბელადის ჩამოცილების სამზადისია (არის ცნობები, რომ სტალინის აგარაკის სხვენზე ვერცხლისწყლიანი ფინჯნები ეწყო).

შთამაგონებლები – „მეხუთე კოლონა“; მფარველი – ნიკიტა სერგეევიჩი; პასუხისმგებელი შემსრულებელი – იგნატიევი; უშუალო შემსრულებლები – დაცვის სამართველოს თანამშრომლები... ხელმძღვანელობით (ვისი – მაინც ცოტა გვიან გაცნობებთ).

მოვლენები კი აჩქარებულან. 1953 წლის 2 მარტს სტალინმა დანიშნა ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომა (ეს კი 36 კაცია!) ერთ სამინისტროდ შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების გაერთიანების საკითხის განსახილველად, მინისტრად ბერიას დანიშვნით.

შემდგომი სურათი პრინციპში ნათელია: 1953 წლის 28 თებერვალსა და 2 მარტს შორის დაიწყეს ბელადის მოკვდინება. კონკრეტულად როგორ მოაკვდინეს, ამის მოკვლევა სხვათათვის მიმინდვია; და იმიტომ დაიღუპა, რომ დაკარგა სწორი საკადრო ალღო და ლავრენტი პავლოვიჩი არ დააკანონა თავის პირდაპირ მემკვიდრედ – ეგრევე ცკ-ის პლენუმზე, 1953 წლის 16 ოქტომბერს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მისი დანიშვნის დაჟინებული მოთხოვნით.

განსაკუთრებული „სამეულის“ თავმჯდომარედ ბერიას განწესება შეიძლება განვიხილოთ, როგორც სტალინის გონების განათების დასაწყისი, ოღონდ, „მეხუთე კოლონა“ და ხრუშჩოვი უფრო მარჯვეები აღმოჩნდნენ...

ბელადმა თავის სიცოცხლეში დაუშვა ორი უდიდესი შეცდომა, ორივე მათგანი ოქროს საუკუნედ დაუჯდა რუსეთსა და კაცობრიობას. პირველი – შეუფასებლობა ანგლოსაქსების წინააღმდეგ გერმანიასთან სტრატეგიული პარტნიორობის პერსპექტივებისა და შესაძლებლობისა 1939 წლის პაქტის დადების შემდეგ. მეორე შეცდომა კი გახდა ლავრენტი ბერიას, როგორც ეპოქის მოთხოვნებისადმი ადეკვატური ერთადერთი თავისი მემკვიდრის, შესაძლებლობებისა და პოტენციალის შეუფასებლობა.

სტალინი ზუსტად ოცი წლით უფროსი გახლდათ ბერიაზე, ჩამოყალიბდა, როგორც პროფესიონალი რევოლუციონერი-მარქსისტი, რომელსაც ამოძრავებდა ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ და ლენინთან ერთად სწამდა ევროპული და მსოფლიო რევოლუცია. ყველა ბელადთაგან ის, ვითარცა მათთაგან ყველაზე ფხიზელი, პირველი მიხვდა, რომ რუსეთს არ უნდა ჰქონდეს განვითარებულ ქვეყნებში „კლასობრივი მოძმეების“ იმედი; თუმცა, იმასაც მიხვდა, რომ რუსეთი სავსებით შემძლეა მძლავრ სახელმწიფოდ წამომართვისა, სადაც ადგილი არ ექნება კერძო საკუთრებასა და თავკერძა ინტერესებს და სადაც ყოველი ადამიანის თავისუფალი განვითარება საზოგადოების განვითარების პირობა გახდება.

და აი რუსეთი, ომით გამოცდის გავლით, იქცა ასეთ სახელმწიფოდ. და სტალინი... კი, ძნელი სათქმელია, რამ შეასრულა საბედისწერო როლი – თანდათანობითმა დაბერებამ თუ ომის დატვირთვამ თუ სამი ათწლეულის ჩვევამ – ყველაფრის საკუთარ თავზე აღებისა და საბოლოო ანგარიშით, უკანასკნელ ინსტანციად ყოფნისა; ან ეგებ სულაც გადაჭარბებულ ქება-დიდებაზე დამცველი რეაქციის შესუსტებამ...

იმის თქმა კი დარწმუნებით შეიძლება, რომ ბელადმა, როგორც სახელმწიფოს ყოვლისმომცველმა მეთაურმა, თავისი რესურსი 1952 წლის მიწურულისთვის ამოწურა, ბერიამ კი, პირიქით, ისეთი ცხოვრებისეული და მმართველობითი სახელმწიფო გამოცდილება დააგროვა, რომ მისი სრულად გამოყენება შეეძლო მხოლოდ ქვეყნის სათავეში მოხვედრით.

ბერია, თუმცა რევოლუციაში ჭაბუკად მოვიდა, თითქმის ერთბაშად გადაიქცა რევოლუციონერიდან და იატაკქვეშეთიდან სახელმწიფო მართვისშემძლედ, ორგანიზატორად. მსოფლიო რევოლუციის იდეები მას არ იტაცებდა. სამაგიეროდ რუსეთში, კოლექტივისტურ საწყისებზე, ცხოვრების აქტიური გარდაქმნის იდეამ სამუდამოდ გაიტაცა.

მას სულ უფრო მეტი მმართველობითი შესაძლებლობები ექლეოდა სამსახურებრივი წინსვლისას და ახლა მზად გახლდათ უკვე სოციალისტურ (ამას ხაზს ვუსვამ!) „ტექნოკრატთა“ რუსეთის სახელმძღვანელოდ. კომუნიზმის აშენება მისთვის იყო არა იდეალი, არა ლოზუნგი, არამედ კონკრეტული, რთული, თუმცა „გადაჭრადი“ ამოცანა.

სტალინი 1930-იანი წლების შუიდან ესწრაფოდა პარტიისა და საბჭოების როლის შეცვლას; და აი, 1952-ში საამისოდ სავსებით ხელსაყრელი მომენტი დადგა... ხელმძღვანელობაში შევიდა საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა კადრი, დაიწყო პარტიის ამოცანათა გადაორიენტირება სამეურნეო ხელმძღვანელობიდან იდეურზე...

ბელადს რომ XIX ყრილობის დამთავრებისთანავე, სკკპ-ის გენერალური მდივნის პოსტზე დარჩენით, თავისი რწმუნებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პოტენციური თავმჯდომარის ბერიასათვის გადაეცა, ამით თავისთვის სიცოცხლესაც შეინარჩუნებდა და გაუხუნებელ სიკვდილშემდგომ დიდებასაც.

ჩემი შეხედულებით, ყველაზე ნათლად სტალინის უკომპეტენტურობა (პირველად იმის მოღვაწეობაში) წარმოჩნდა იმ რამდენიმე „გრანდიოზულ“ მშენებლობაში, რომელთა გაუქმება ლავრენტი პავლოვიჩმა დაბეჯითებით მოითხოვა ძალიან მალე ბელადის სიკვდილის შემდეგ.

ვაი, რომ სტალინმა ვერ გაბედა ბერიას ხელში ქვეყნის მერმისის ჩაგდება! ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბელადის გარდაცვალებისთანავე გარდაუვალად წამოიჭრება მემკვიდრის, ლიდერის საკითხი; და იმაზე, თუ ვინ იქნება შემცვლელი – სტალინის პარტიის წევრი თუ პარტოკრატების პარტიის წევრი, უზარმაზარი ქვეყნის შემდგომი ბედი იყო დამოკიდებული; ეგ კი არა, მსოფლიოსიც...

ამრიგად, 1952 წლის ბოლოს და 1953-ის დაწყებისას ქვეყნისთვის ორი, პრინციპულად განსხვავებული გზა მოინიშნა. ერთ გზას მივყავდით მისი უცილობელი დეგრადაციისკენ, მეორეს – არანაკლებ გარდუვალი აყვავებისკენ.

ერთის სიმბოლო იყო ფუნქციონერი – გონებაშეზღუდული, უვიცი, ამბიციური, არამცთუ ქვეყნის საზოგადოებრივი ყოფიერების ოპტიმიზების ვერშემძლე, არამედ ამის არმოსურნეც; თვითონ ზარმაცი და უკომპეტენტური და ამიტომაც, სიზარმაცისა და უკომპეტენტურობის მთესველი, როგორც თავის ახლომახლო, ისე ხელისუფლების უფრო დაბალ დონეებზეც.

მეორის სიმბოლო გახლდათ მართვისშემძლე შორსმჭვრეტელი, განათლებული, ენერგიული, პატივისცემის ღირსთა პატივისმცემელი, თვით ხასიათის არსით იმისკენ მსწრაფველი, რომ საზოგადოების ცხოვრება უკეთესი გაეხადა; მართვისშემძლე, მუშაობის მოყვარული და მცოდნე, კომპეტენტური და ამიტომ, ყოველმხრივ შემგულიანებელი და თავისთან დამაახლოებელი კარგი, კომპეტენტური მუშაკებისა.

ფუნქციონერმა არ იცოდა საქმე, მაგრამ ყოფნიდა ყველას სწავლების თავხედობა; თვითონ არაფერს არ სწავლობდა, ვინაიდან ფიქრობდა, რომ წინასწარვე ყველაფერი ისედაც იცის, იმიტომ, რომ ცკ-ის მდივანი და პოლიტბიუროს წევრია.

მართვისშემძლე, თუ რაიმე არ იცოდა და თავისთვის ახალ საქმეს გადაეყრებოდა, სწავლობდა, გაერკვეოდა იმისთვის ახალ საგნებში და მერე გააზრებული გადაწყვეტილებების მიღება შეეძლო.

ფუნქციონერი პერსპექტივაში სსრ კავშირს იმგვარივე, ოღონდ ერთი რანგით ქვემოთ მდგომ ფუნქციონერებს აჩეჩებდა ხელში, როგორც თავად იყო; და იმათ ერთი რამ შეეძლოთ – უკიდურესობამდე ქვეყნის მიყვანა.

მართვისშემძლე კი პერსპექტივაში ყველა უფლებას აძლევდა, სსრ კავშირში, პროფესიონალებს, მართვის მეცნიერების, წარმოების, განათლებისა და კულტურის სპეციალისტებს, რომლებიც აუცილებლად მიიყვანდნენ ქვეყანას ნამდვილ, ვერც რაიმეთი და ვერც ვინმეთი შესარყევ სიდიადემდე.

ფუნქციონერი პერსპექტივაში მასებს გამოშტერების დონემდე აქვეითებდა, როცა არაფერზე არ მსჯელობენ, პრიმიტიულ, ნახევრადმცენარეულ არსებობას არიან მიჩვეულნი.

მართვისშემძლე პერსპექტივაში მასებს ჰპირდებოდა ყოველმხრივ განვითარებას, რაც ყოველ მსურველს ყველა უნარის გამოჩენის და მხიარულად, ჭკვიანურად და დიდხანს ცხოვრების საშუალებას მისცემდა.

ფუნქციონერს უყვარდა საკუთარი თავი სახელმწიფოში და არა სახელმწიფო საკუთარ თავში, იმიტომ, რომ დიად, ხალხის კუთვნილ სახელმწიფოს ის უბრალოდ არ სჭირდებოდა.

მართვისშემძლეს არ შეეძლო არ ყვარებოდა სახელმწიფო თავის თავში და სახელმწიფოსათვის ცოცხლობდა თუნდაც იმიტომ, რომ მხოლოდ დიად სახელმწიფოში შეიძლებოდა ყველაზე უფრო რეალიზებული ყოფილიყო, როგორც პიროვნება.

ფუნქციონერის „მოღვაწეობის“ შედეგი ხდებოდა საბჭოთა კავშირის დაღუპვა და მთელი კაცობრიობის მომდევნო დეგრადაცია.

მართვისშემძლის მოღვაწეობის ლოგიკური შედეგი იქნებოდა ისეთი საბჭოთა კავშირი, რომელსაც შეეძლო პლანეტის ყველა ჯანსაღი ძალის სათავეში ჩადგომა, არა ოდენ ძლიერის, არამედ სამართლიანისაც უფლებით.

და ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობაში 1952 წლისთვის გვყავდა როგორც კაშკაშად (თუ შეიძლება უფერული პიროვნების სიკაშკაშეზე ლაპარაკი) გამოხატული, დასრულებული ფუნქციონერი – ნიკიტა ხრუშჩოვი, ისე აგრეთვე ბრწყინვალედ გამოკვეთილი, გამოჩენილი მართვისშემძლე – ლავრენტი ბერია.

სტალინმა არ შეაგდო ბერიას სასწორის თეფშზე თავისი ვეებერთელა ავტორიტეტი, რაც ნიშნავდა, რომ სასწორი რყევას დაიწყებდა და ყველაფრის გადაწყვეტა შემთხვევას შეეძლო.

ლავრენტი პავლოვიჩისა და ნიკიტა სერგეევიჩის დაპირისპირება გარდუვალი ჩანდა და გამარჯვება მხოლოდ ერთს შეეძლო.

ხრუშჩოვს, ვითარცა ინტრიგანსა და ეგოისტს, ეს ესმოდა, წინდაწინვე ემზადებოდა შეტაკებისთვის და ითვლიდა – როგორ გაეღვივებინა ხელისუფლების კოლეგებში ქვენა გრძნობები და ისინი თავისკენ მოემხრო.

ბერია, როგორც ოფლისმღვრელი და კოლექტივისტი, ღრმად და მიამიტურად იყო დარწმუნებული იმაში, რომ აშკარა საქმიანი უპირატესობით ავტომატურად უზრუნველყოფს თავის ლიდერობას; და თუმცა ესმოდა ხრუშჩოვის არარაობა, აზრადაც არ გაივლებდა, რომ პირადი კეთილდღეობისთვის მას შეეძლო ამხანაგისა და კოლეგისთვის ანგარიშის გასწორება მოეწყო.

ლავრენტი პავლოვიჩი თავისას ზომავდა, მაგრამ ნიკიტა სერგეევიჩიც თავისას ზომავდა. აი, საზომები კი სხვადასხვა ჰქონდათ.

## სტალინის „უცნაური“ სიკვდილი

სტალინის გარდაცვალების ოფიციალური თარიღია 1953 წლის 5 მარტი, ხოლო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობისა და ელიტურ ექიმთა მთელი ნაკრების ოფიციალური დიაგნოზი სავსებით მართებულია, რაიმე სამედიცინო გაუგებრობებზე მიუნიშნებლად...

4 მარტს პრესაში გამოჩნდა პირველი სამთავრობო შეტყობინება ბელადის ავადმყოფობის შესახებ, სადაც ნათქვამი იყო, რომ 2 მარტს, ღამით, მას სისხლი ჩაექცა ტვინში და რომ „ამხანაგი სტალინის სამკურნალოდ მოხმობილია საუკეთესო სამედიცინო ძალები...“

იქ მართლაც ბევრი გახლდათ გამოჩენილი ექიმი, თუმცა ბელადის სიკვდილის ისტორია მიწისქვეშა ჯურღმულივით ბნელია. სტალინი ხომ აშკარად მოაკვდინეს; და აშკარად ხრუშჩოვის სანქციით, ეგების სულაც იმისი უშუალო მონაწილეობით მოწამვლის საფინიშო აქტში; თუ „ისტორიკოს“ ნიკოლოზ ზენკოვიჩს დავუჯერებთ, ნიკიტა სერგეევიჩს თავისი მართვის დასასრულში წამოსცდა კიდევაც, რომ ბელადი მოიშორა.

ოღონდ ეგ ზენკოვიჩი არასაიმედო წყაროა. ის ერთობ ხშირად ჭორების შეგროვებას ეწევა ანალიზის ნაცვლად; მერედა, როგორი ჭორებისა! რად ღირს, მაგალითად, 2005 წელს გამოცემულ წიგნში „ცრუჩვენებები, ფალსიფიკაციები, მაკომპრომასები“ მოყვანილი ილია ერენბურგის მონათხრობი!

ერენბურგმა, ვითომ ხრუშჩოვის კრემლის სანქციით, ვითომ უამბო ფრანგ ფილოსოფოსს ჟან-პოლ სართრს, თუ როგორ იყო საქმე...

თარგმნა
**თამაზ ეზანოიძემ**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. სრ. № 138-146

ოლიმპიადა 2012

# ქართველები ლონდონში



**დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ოლიმპიური თამაშების კიდევ ერთი დღე მიილია, საქართველოს დელეგაციის წევრები კი კინკილა ოქროს (ვინ იცის, რამდენ ქვეყანას აქვს ასეთი ჯილდო სანატრელი) ამარა განაგრძობენ ასპარეზობას.** გუშინდელმა დღემაც ჩვენთვის უიღბლოდ ჩაიარა. ოლიმპიურ სარბიელზე ერთადერთი წარმომადგენელი გვყავდა — ძიუდოში ორგზის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი ლევან ჟორჟოლიანი. პირველ წრეში მას მეტოქეობას უწევდა კონტინენტის 2005 და 2009 წლების პირველობების ბრინჯაოს პრიზიორი, რუმინელი დანიელ ბრატა, რომელსაც მრავალწლიანი გამოცდილება უმაგრებდა ზურგს. ქომაგები დიდი ინტერესით ელოდნენ ამ პაექრობას, მაგრამ იმედები გაუცრუვდათ — ტატამზე ულიმღამო ჭიდაობა იხილეს, რომელიც ჩვენებურმა გაფრთხილებებით მოიგო. მეორე წრეში ჟორჟოლიანს ბაქოელი ევროპის მესამე პრიზიორი, 20-წლიანებში კონტინენტის პირველობის გამარჯვებული ელმარ გაშიმოვი ელოდა. აზერბაიჯანელმა ძიუდოისტმა შეჯიბრების სტარტზე იუკოთი აჯობა ერთ-ერთ ფავორიტს ყაზახ მაქსიმ რაკოვს, მაგრამ გონგამდე მუხლი დაიზიანა და ჟორჟოლიანთან ჭიდაობისას ხანდახან წაიბორძიკებდა ხოლმე. განსაკუთრებული არც მეზობლების ორთაბრძოლაში მომხდარა რამე — გაშიმოვმა ერთით მეტი გაფრთხილება მიალებინა მეტოქეს და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც უპიროზოდ წააგო 2003 წლის კორეელ მსოფლიოს ჩემპიონ ჰვანგ ჰი-ტაუსთან, რომელმაც 9 წლის წინანდელ ფინალში ოქროს მედალი ზურაბ ზვიადაურს წაჰგვარა.

ძიუდოში კიდევ ერთი მონაწილე დაგვრჩა: დღეს ტატამზე საქართველოს სამგზის ფალავანი, მძიმეწონოსანი ადამ ოქრუაშვილი გავა და გერმანელ ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიოს ორგზის ვერცხლის პრიზიორ ანდრეას ტოლცერს დაუპირისპირდება.

დღესვე ლონდონის ოლიმპიურ სარბიელზე ძალებს მოსინჯავენ სიგრძეზე მხტომელი ზოლესლავ სხირტლაძე და ძალოსანი, წლევანდელი ევროპის ჩემპიონი რაულ ცირეკიძე (85 კგ.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

# ჩეხებმა ჩხუბში გვაჯობეს



**საქართველოს ეროვნულმა საკალათბურთო ნაკრებმა ესტონური ტურნე დაასრულა. იგორ კოკოშკოვის გუნდმა ტალინის საერთაშორისო ტურნირზე 1 მატჩი მოიგო, 2 წააგო და ავსტრიაში დაბრუნდა. ნაკრების მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა ბალტიისპირული ტურნირი შტაინბრუნიდან შეაფასა.**

— სამიდან 2 მატჩი წავაგეთ და ეს თავისთავად ცუდია, მაგრამ ამხანაგური ტურნირი იყო და აქ მთავარი აქცენტი გუნდის შეთამაშებაზე, შეკრების განმავლობაში დამუშავებული კომბინაციების სრულყოფაზე კეთდებოდა. ამ წაგების გამო არაფერი დაშავდება, სამაგიეროდ, გუნდმა დიდი გამოცდილება მიიღო და შეთამაშების მხრივ წინ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა.

**— ჩეხეთთან მატჩის მოგებით პირველ ადგილზე გადიოდით...**

— ვიცი და შეგვეძლო კიდეც მოგება, მაგრამ ეს შესაძლოა მძიმე ტრავმების ხარჯზე მომხდარიყო. თავიდან კარგად დავიწყეთ და ვიგებდით კიდეც, მაგრამ რომ მიხვდნენ, პატიოსან თამაშში ვერ გვაჯობებდნენ, ჩეხები მეტად აგრესიულად ათამაშდნენ და მათ რომ ავყოლოდით, შესაძლოა, ჩხუბიც მომხდარიყო. არ ავყევით, თუმცა, 3 კალათბურთელი მაინც დაგვიშავდა. მანუჩარ მარკოიშვილმა და ვიქტორ სანიკიძემ




ტრავმები მიიღეს, მაგრამ, საბედნიეროდ, სერიოზულად არ დაშავებულან. რაც შეეხება გიორგი შერმადინს, მან უფრო რთული ტრავმა მიიღო. გიორგის ტუჩი გაუხეთქეს და ნაკერების დადება გახდა საჭირო.

**— ამჟამად ვარჯიშს ვერ ახერხებს?**

— დღეს არ ივარჯიშებს და ხვალიდან არ ვიცი. ნაკრების ექიმები გადაწყვეტენ, თუ როდის დაუბრუნდეს სავარჯიშო პროცესს.

**— სამი მატჩი ითამაშეთ და ნაკრების წევრთა ფორმის შეფასებაც შეიძლება...**

— იდეალურ ფორმაში არც ერთი არაა. მოთამაშეებმა სეზონი კარგა ხანია, დაასრულეს და ეს შეკრებაც იმისთვისაა, რომ ფორმა აღიდგინონ. თბილისში და შემდეგ ავსტრიაში ნაკრების წევრებმა ნაყოფიერი მომზადება გაიარეს. ახალმა, იტალიელმა ფიზმომზადების მწვრთნელმა გუნდს ხელი უკვე დაატყო. იმის გათვალისწინებით, თუ შეკრების რომელ ეტაპზე ვიმყოფებით, ნაკრების წევრები კარგ ფიზიკურ ფორმაში არიან. რაც შეეხება შეთამაშებას, წინ კიდევ ორი კვირა და 5 საკონტროლო თამაშია. ამ პერიოდში ნაკრები ერთიორად მოუმატებს და 18 აგვისტოს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დასაწყისს სასურველ ფორმაში შეხვდება.

**— რას იტყვით ამერიკელ მოთამაშეებზე? რამდენად გაამართლეს მათ იმედები?**

— ორივე ნატურალიზებული კალათბურთელი საკმაოდ ძლიერია. ჯეიკობ პულენმა და კორი ფიშერმა თავი საკმაოდ კარგად წარმოაჩინეს. ორივეს შეუძლია პირველ ნომრად დამაჯერებლად თამაში და ნაკრებში ის დაიკავებს ადგილს, რომელიც უკეთეს ფორმაში იქნება და ჩვენს გუნდს კონკრეტულ მომენტში გამოადგება.

**— ოფიციალური მატჩებისთვის ნაკრებში ორივე ამერიკელი იქნება?**

— დარჩენილ საკონტროლო მატჩებში გამოიკვეთება ის ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელი, რომელიც შესარჩევ ტურნირს დაიწყებს. მეორე ამერიკელი გუნდს არ დატოვებს და საჭიროების შემთხვევაში, ის ძირითადში მყოფ ამერიკელს ჩაანაცვლებს.

**— რომელიმე კანდიდატი ხომ არ გამოგაკლდათ?**

— 20-წლამდელთა ნაკრების 5 წევრის გარდა არავინ გამოგვაკლებია. 14 კალათბურთელით დავბრუნდით ავსტრიაში, ახლა ვისვენებთ და საღამოს ვივარჯიშებთ.

**— უახლოესი გეგმები როგორია?**

— 4 აგვისტოს ავსტრიის ეროვნულ გუნდს საკონტროლო მატჩში დავუპირისპირდებით, რის შემდეგაც, 5-ში თბილისში დავბრუნდებით. 7, 8 და 9 აგვისტოს თბილისის საერთაშორისო ტურნირი გველის.

ჭადრაკი



## გელაშვილს — მეორე პრიზი

**ვაშინგტონში მოჭადრაკეთა ბლიცტურნირში სხვადასხვა ქვეყნის 50-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.** 10-10 ქულით პირველ-მეორე ადგილები ამერიკელმა გატა კამსკიმ და რუსთაველმა დიდოსტატმა თამაზ გელაშვილმა გაინაწილეს. 9 ქულით მე-3 ადგილი უზბეკმა ტიმურ გარეევმა დაიკავა.

# ათენში, მსოფლიოს პირველობაზე

**საბერძნეთის დედაქალაქი ორი კვირის განმავლობაში 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობას უმასპინძლებს. შეჯიბრებაში, რომელიც გუშინ გაიხსნა საზეიმოდ, საქართველოდან მერი არაბიძე, ნანი უნაფქოშვილი, შალვა ნადირაშვილი და დიმიტრი კვარაცხელია მონაწილეობენ. ტურნირზე გათამაშდება 13 ტური, 9 აგვისტო დასვენების დღეა.**

შეგახსენებთ, რომ საქართველოდან მსგავსი შეჯიბრების გამარჯვებულები არიან არახამია (1985 წელსძ, ქეთევან კახიანი (1989, 1990ძ, ნინო ხურციძე (1993, 1995ძ და ნანა ძაგნიძე (2993ძ.

**ლაშა დიდია**




# რეიტინგით რჩეულნი

ფიდეს 2012 წლის პირველი აგვისტოს რეიტინგით მოჭადრაკე ქალთა ასეულს ისევ უნგრელი **იუდით პოლგარი** (2698ძ უდგას სათავეში. მეორე ადგილს სლოვენიელი **ანა მუზიჩუკი** (2606ძ ინარჩუნებს. მესამე ადგილზეა ჩინელი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ჰოუ იფანი** (2603ძ. ათეულში მომდევნო ადგილებზე მოდიან: **ჰამფი კონერუ** (ინდოეთი, 2593ძ, **ჟაო სიუ** (ჩინეთი, 2549ძ, **ნანა ძაგნიძე** (საქართველო, 2547ძ, **კატერინა ლაგნო** (უკრაინა, 2542ძ, **ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი, 2530ძ, **ცზიუ ვენძიუნი** (ჩინეთი, 2528ძ, **ნადეჟდა კოსინცევა** (რუსეთი, 2524ძ.



ქალთა პირველ ასეულში, ძაგნიძის გარდა, კიდევ 10 წარმომადგენელი გვყავს. ესენი არიან: 14. **ბელა ხოტენაშვილი** (2509ძ, 31. **ლელა ჯავახიშვილი** (2458ძ, 39. **ნინო ხურციძე** (2444ძ, 45. **ნინო ბაციაშვილი** (2432ძ, 53. **სოფიკო გურამიშვილი** (2418ძ, 65. **სალომე მელია** (2403ძ, 68. **სოფიკო ხუხაშვილი** (2396ძ, 70. **ნაზი პაიკიძე** (2394ძ, 81. **მერი არაბიძე** (2379ძ, 94. **მაია ლომინეიშვილი** (2363ძ.

ვაჟთა რეიტინგს 2837 პუნქტით უწინდებურად ნორვეგიელი **მაგნუს კარლსენი** ლიდერობს. მომდევნო ადგილებზე არიან **ლევონ არონიანი** (სომხეთი, 2821ძ, **ვლადიმირ კრამნიკი** (რუსეთი, 2797ძ, **თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი, 2788ძ, **სერგეი კარიაკინი** (რუსეთი, 2785ძ, მსოფლიოს ჩემპიონი **ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი, 2780ძ, **ჰიკარუ ნაკამურა** (აშშ, 2778ძ, **ფაბიანო კარუანა** (იტალია, 2773ძ, **ალექსანდრ მოროზევიჩი** (რუსეთი, 2770ძ, **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა, 2769ძ.

ქართველთაგან **ბაადურ ჯობავას** 2730 პუნქტით 21-ე ადგილი უკავია. **მიხეილ მჭედლიშვილმა** 2659 პუნქტით 91-ე ადგილზე გადაინაცვლა.

20 წლამდელ გოგონათა ასეულს **ჰოუ იფანი** მეწინავეობს. 2394 პუნქტით **ნაზი პაიკიძე** მეხუთეა, **მერი არაბიძეს** მე-8 ადგილი (2379ძ უკავია. აქ კიდევ ორი წარმომადგენელი გვყავს: 22. **ქეთი წაწალაშვილი** (2279ძ და 27. **მარიამ დანელია** (2252ძ.

20-წლიან ვაჟთა პირველ ასეულში ქართულ გვარს, სამწუხაროდ, ვერ ამოიკითხავთ.

**ლექსო ცინცაძე**

ჩოგბურთი

# ქართული მერვედფინალი ანკარაში



**თურქეთის დედაქალაქ ანკარაში მიმდინარე 10-ათასიანი ტურნირის პირველ წრეში თამარ ჭალაგანიძის და მალტელი კიმბერლი სასარის წყვილმა ბაბილინა მაჩაიძის და თურქი აისენურ დურმუშის დუეტი 6:3, 6:2 დაამარცხა და მეოთხედფინალში გააღწია, სადაც პირველი რეიტინგის მქონე რუმინულ-სლოვაკურ ტანდემს (ანდრეი-ზლოჩოვა) ეთამაშება.**

შეგახსენებთ, რომ ანკარის ტურნირის ერთეულთა პირველობაზე ძირითად ბადეში ქართველთაგან მხოლოდ ნათია გეგია თამაშობს, რომელმაც მე-5 რეიტინგის მქონე ესპანელ ნურია პარიზას-დიაზს მოუგო — 2:6, 7:6, 7:5.

გერმანულ ბად საულგაუში, 25-ათასიან ტურნირზე პირველი შეხვედრა წააგო სოფო ქვაცაბაიამ. ქართველი ჩოგბურთელი კვალიფიკაციის ერთ-ერთ გამარჯვებულ იტალიელ ჯულია მაირთან დამარცხდა — 2:6, 3:6.

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

## ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | [illegible] | [illegible] | [illegible] | | | |
| 1 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 430 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | | | | | | [illegible] | 530 | 285 | 245 | | | |

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | |
| [illegible] | [illegible] |

◎ ტესტი

# შეგიძლიათ დაძლიოთ სტრესი?

**გამოცდები — სტრესია ყოველთვის. ტესტი დაგეხმარებათ განსაზღვროთ, შეგიძლიათ თუ არა ცოდნით და წარმატებით ებრძოლოთ მას. ამისთვის უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილ შეკითხვებს. ყოველ დადებით პასუხზე დაიწერეთ 1 ქულა, უარყოფით პასუხზე — 0 ქულა.**



1. თუ შეგიმჩნევიათ, რომ გიჭირთ აუდიტორიის წინაშე გამოსვლა?

2. როდესაც მზად ხართ პასუხისთვის, ძალიან გაშინებთ და გაღიზიანებთ ვინმეს საუბარი ან სიცილი?

3. საკონტროლო წერის წინა დღით ყოველთვის გაქვთ შიში?

4. ხშირად თუ ყოფილა, რომ მასწავლებლის შეკითხვაზე პასუხის დროს გიჭირდათ გონების მობილიზება და სწორი პასუხის გაცემა, თუნდაც ეს შეკითხვები რთული არ ყოფილიყო?

5. გამოცდაზე იმ მასწავლებლის ყოფნა, რომელსაც თქვენ კარგად იცნობთ, მოგიმატებდათ არსებითად ეს თქვენ რწმენას?

6. თუ ყოფილა შემთხვევა, რომ თქვენ უარს აცხადებდით პასუხზე, თუმცა ამოცანას ამზადებდით?

7. თუ ყოფილა ისეთი რამე, რომ გამოცდამდე, ერთი-ორი საათით ადრე თქვენ განიცდიდით შინაგან კანკალს?

8. თუ ცდილობდით, რომ რაც შეიძლება მეტი გემეცადინათ დამატებით, რათა კარგი ნიშანი მიგეღოთ?

9. საკონტროლო წერის წინ ან გამოცდების წინა დღით გაგჩენიათ შეგრძნება, რომ ყველაფერი დაგავიწყდათ?

10. როდესაც უპასუხებთ მასწავლებლის შეკითხვებს, გიჭირთ თავი დააღწიოთ შიშს, რომ შეიძლება მიიღოთ არადამაკმაყოფილებელი ნიშანი?

11. სწორია თუ არა, რომ ხშირად გაგიელვებთ ხოლმე თავში აზრი: „ყველაფრისთვის მზად ვართ, ოღონდ გამოცდები ჩავაბარო „ფრიადზე"?

12. ყოველთვის მოუთმენლად და ძლიერი მღელვარებით ელოდებით შეფასების გამოცხადებას?

## შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

**9-12 ქულა.** როგორც ჩანს, საგამოცდო სერიის დროს თქვენ განიცდით ძლიერ სტრესს. კარგი იქნებოდა, გამოცდების წინა დღეს დაგელიათ რაიმე მსუბუქი დამამშვიდებელი პრეპარატი, მაგრამ ამის გაკეთება შეიძლება მხოლოდ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ! უშუალოდ გამოცდის წინ, გზაში, გამოიყენეთ მარტივი ხერხი: შეეცადეთ ჩამოთვალოთ 10-20 ნებისმიერი მარტივი საგანი, როგორც ვარიანტი — ლურჯი ფერის მანქანები... შეიძლება დაითვალო არა საგნები, არამედ, მაგალითად, ქერათმიანი გოგონები, ან, ვთქვათ, ერთი სახეობის ჩიტები. ასეთი, ერთი შეხედვით, უაზრო მეცადინეობა დაგეხმარებათ საქმით, გადაერთოთ სხვა რამეზე და გათავისუფლდეთ საგანგაშო აზრებისა და შიშისაგან.

**5-8 ქულა.** ეტყობა, თქვენ ბუნებით მშიშარა ბრძანდებით. და გამოცდების წინ განიცდით სტრესს. დაიმახსოვრეთ: საკვები ახლა უნდა იყოს კალორიული, ვიტამინებით მდიდარი. ხშირად მიირთვით ბოსტნეული და ხილი, რძის პროდუქტები. ტვინისთვის კარგია კაკალი და შოკოლადი. მომზადებას დღე-ღამეში რვა საათზე მეტი დრო არ უნდა დაუთმოთ, გადატვირთვა არ დაგეხმარებათ, გამოცდებისთვის მზადების დროს ეცადეთ, დაიცვათ ცნობილი წესი: მასალის ათვისებისთვის ყველაზე ნაყოფიერი საათებია — დილის 8-დან 12 საათამდე და საღამოს 14-დან 18 საათამდე. გამოცდების წინ აუცილებლად კარგად უნდა გამოიძინოთ. ყურად იღეთ რეკომენდაციები, ეს დაგეხმარებათ, შეამციროთ სტრესი.

**5 ქულაზე ნაკლები.** მთლიანად თქვენ მზად ხართ გამოცდებისთვის და, ალბათ, უმთავრესად თქვენი განსჯის უნარის წყალობით და უნარით არ აჰყვეთ ემოციებს. თქვენ კარგი შანსი გაქვთ წარმატებით გაიაროთ ეს რთული პერიოდი.

ქეთევან მელექსიშვილი და ნუგზარ დათუაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი ნათესავი, შესანიშნავი პიროვნება, ღირსეული მოქალაქე და მამულიშვილი

**ილია (ილო) ღვინიაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

პედიატრიის ინსტიტუტი — ალერგოლოგიისა და რევმატოლოგიის ცენტრი, ბავშვთა ალერგოლოგთა და კლინიკურ იმუნოლოგთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება პროფესორ ლია ჟორჟოლიანის დის

**დალი ჟორჟოლიანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## დაიჯესტი

### სარფიანი საქმე



**ინგლისელი ფერმერი ჯორჯ მიტჩელი ჩვეულებრივ... ჭიაყელებს ამრავლებს, რომლებსაც მეთევზეებზე სატყუარებად ყიდის.**

როგორც ჩანს, მისტერ მიტჩელის ბიზნესი საკმაოდ წარმატებულია: შარშან მან შიდა ბაზარზე 110 მილიონი „ცოცხალი სატყუარა" გაყიდა, თან, მისივე განცხადებით, მოთხოვნა წლიდან წლამდე იზრდება, ამიტომ იგი საქმიანობის უფრო ფართოდ გაშლას გეგმავს.

### ღილი და ელვა

**ამჟამად არავინ იცის, თუ ვინ მოიგონა ეს, თვალის ერთი გადავლებით მეტად მარტივი, მაგრამ მეტად საჭირო ნივთი, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ მას ძალიან დიდი ისტორია აქვს.**

**კუნძულ კრეტას ძველი ბინადარნი ღილებით თავიანთ ტრადიციულ ქვედაბოლოებს იკრავდნენ, ხოლო თავად მარყუჟსა და ფოლაქს ქამარი ფარავდა, რომელიც სამოსელის აუცილებელი ატრიბუტი იყო.**

**ღილები თავად ძველ საბერძნეთშიც იყო გავრცელებული — ათენის აკროპოლში დღესაც დგას ქანდაკებები, რომელთა ლაბადები ღილებითაა შეკრული.**

ადრეულ შუა საუკუნეებში ღილებს შედარებით იშვიათად ხმარობდნენ, ისინი უფრო ხშირად ფუფუნების საგნებს წარმოადგენდნენ, ვიდრე სამოსელის აუცილებელ დეტალს. ამრიგად, მე-12-14 საუკუნეებში მათ იშვიათად ხმარობდნენ, ხოლო მე-15 საუკუნეში ღილი მოდაში შემოსულმა ზონარით შეკვრამ მთლიანად განდევნა. „ღილის ეპოქა" მე-16 საუკუნიდან მოყოლებული იწყება, როცა სხვადასხვა ფორმის, ზომის, ფერისა და მასალის ფოლაქებს სამოსელზე ყველგან აკერებდნენ, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო. ფოლაქებით ეს გატაცება მთელ ევროპას მოედო და ამის მაგალითი მრავალადაა.



კერძოდ, ღილებზე, რომ იტყვიან, „გონება ეხინდებოდა" საფრანგეთის მეფე ფრანცისკ პირველს. ერთხელ მან პარის იუველირს ჟაკ პოლინს 13600 პატარა ღილი შეუკვეთა, რომლითაც შავი ხავერდის ერთადერთი კოსტიუმი მოართვევინა. მისმა ვაჟიშვილმა ანრი მესამემ, რომელიც ბუნებით მეტად კუშტი კაცი იყო, 1583 წელს ისურვა თავის კოსტიუმზე 216 თავის ქალის ფორმის ღილი დაეკერებინა, ხოლო უნგრეთის მეფემ რუდოლფ მეორემ სახელი იმით გაითქვა, რომ ესპანეთში იმდენ ფოლაქს უკვეთავდა, რომ ხაზინა გაკოტრებამდე მიიყვანა.

თუმცა ღილებით მარტო მეფეები როდი იყვნენ გატაცებულნი. აზნაურის კოსტიუმს არ შეიძლებოდა 14 ფოლაქზე ნაკლები ჰქონოდა, რომლებსაც კიდევ 12-12 მკლავებზე დაკერებული ღილი ემატებოდა და მსახურები მათ ყოველდღიურად აპრიალებდნენ. ამასთან აღსანიშნავია, რომ პურიტანელები ღილებს ფუფუნების საგნად მიიჩნევდნენ, ამიტომ მათ მოყვარულებს სასტიკად კიცხავდნენ.



ღილს „მოწინააღმდეგე" უკვე ჩვენს დროში გაუჩნდა — ესაა ელვა, რომელიც 1893 წელს ელზასელმა მექანიკოსმა ჰენრი არონსონმა გამოიგონა, თუმცა კი იგი ფართოდ მხოლოდ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში გავრცელდა, როცა მათი მასობრივად წარმოება გახდა შესაძლებელი.

### აგროვებენ... ჰაერს

**ამერიკის ნიუ-მექსიკოს შტატის საქვეყნოდ ცნობილი ლოს-ალამოსის ლაბორატორიის მეცნიერები... წარსულის ჰაერის ძიებაში არიან.**

**„ძველი" ჰაერის სინჯები მეცნიერებს მასში „ახლანდელ" ჰაერთან შესადარებლად, ნახშირორჟანგის შემცველობის დასადგენად დასჭირდათ, რომლის კონცენტრაცია ბოლო წლებში კატასტროფულად გაიზარდა. ცნობილია, რომ მისი შემცველობის ზრდა დედამიწაზე ეგრეთ წოდებულ „სათბურის ეფექტს" იწვევს, რასაც გლობალური დათბობის მთავარ მიზეზად მიიჩნევენ.**

ამჟამად მეცნიერები იმის დადგენას ცდილობენ, არის თუ არა ატმოსფეროში ნახშირორჟანგის მომატება მისი გრძელვადიანი ციკლის პიკი და იყო თუ არა მსგავსი რამ დედამიწის ისტორიაში უწინ. ლოსალამოსელ მეცნიერთა აზრით, ძველი ჰაერის ნიმუშები, შესაძლოა, ასწლეულების წინათ ჰერმეტულად დახუფულ ჭურჭლებში, ანდა, სულაც, სხვა საგნებში იყოს შემორჩენილი. ამიტომ ისინი ახლა ძველ დურბინდებს, ქვიშის საათებს, ბრინჯაოს ფოლაქებსა და მსგავს საგნებს აგროვებენ, რომლებიც დამზადებისას ჰერმეტულად იყო დახუფული.

### გულიც ამას ჰქვია



**ზოოლოგთა სამყაროში ჭეშმარიტი სენსაცია გამოიწვია გერმანელი მეცნიერის ერვინ კილცერის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ დიდი დაძაბულობის დროს ღამურას გული წუთში... 880-ჯერ უცემს!** ზამთრის ძილის დროს კი მისი გული წუთში მხოლოდ 16 დარტყმას აკეთებს. ამხელა — ორმოცდაათჯერადი! გულისცემის შემცირებას დედამიწაზე სხვა არც ერთი სხვა ცოცხალი არსება არ განიცდის.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### სასამართლომ „ალიას" ოთარ კობერიძისთვის 50000-ის გადახდა დააკისრა

საქმე „ალია ჰოლდინგში" შემავალ გაზეთ „ქრონიკის" მიერ გამოქვეყნებულ სტატიებს ეხება, სადაც მსახიობი ოთარ კობერიძე პედოფილიასა და ბავშვების გარყვნაში იყო დადანაშაულებული.

როგორც „მედიანიუსს" „ალია-ჰოლდინგის" ერთ-ერთმა რედაქტორმა დიმიტრი ტიკარაძემ განუცხადა, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, „ხელისუფლებამ „ალია" მოკლა".

„ახალი თაობა".

### „გაგვიძლონ თუ მაგრები არიან!!!"

— იმუქრებიან დევნილები და ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებებზე გადადიან. 1 აგვისტოს დევნილთა სამინისტროსთან საპროტესტო აქციაზე სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილები ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი და ცალ-ცალკე კუთხეში აპროტესტებდნენ თავიანთ გაუსაძლის საცხოვრებელ პირობებს. ისინი ამბობენ, რომ ხელისუფლებისგან განაწყენებულები არიან, დასაკარგავი არაფერი აქვთ და ბოლომდე იბრძოლებენ საბინაო პირობების გაუმჯობესებისთვის.

„ალია"

### რუსეთი საქართველოს საზღვრებთან ჯარებს უყრის თავს

ძალიან მალე რუსეთი საქართველოს საზღვრებთან სამხედრო წვრთნებს დაიწყებს. ოფიციალური თბილისი შეშფოთებულია იმის გამო, რომ ეს წვრთნები საქართველოში ჩასატარებელ არჩევნებს დაამთხვიეს. მათ ჩვენი პროტესტი არად ჩააგდეს. არც საერთაშორისო თანამეგობრობის შეშფოთებამ შეაწუხა კრემლი. წვრთნები აუცილებლად ჩატარდება, ქართველი ექსპერტების განმარტებით, რუსებმა საქართველოს საზღვრებთან ძალების არნახული მობილიზება დაიწყეს.

### „ივანიშვილს აგინე, სააკაშვილის სურათზე ილოცე!!!"

გლდანის №8 საპყრობილეში პატიმრებს ივანიშვილის გინებას აიძულებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სცემენ. უფლებადამცველების თქმით, ასეთი შემთხვევები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ახლა არ დაწყებულა, თუმცა არჩევნების მოახლოებასთან ერთად ასეთი ფაქტები გახშირდა. ზოგს იმას აიძულებენ, მუხლებზე დაეცეს და სააკაშვილის სურათს აკოცოს. იმასაც ამბობენ, პატიმრების წამებაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ჭკადუაც ხშირად მონაწილეობს.

„რეზონანსი"

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

— **მოქალაქევ,** თქვენ დაინახეთ, როგორ ურტყამდა ეს ბრალდებული ქალი თავის ქმარს უთოს? — ეკითხება მოსამართლე მოწმეს.
— დიახ, ბატონო, მოსამართლევ.
— მერე რა მოიმოქმედეთ?
— დავურეკე ჩემს საცოლეს და ვუთხარი, რომ გადავიფიქრე დაოჯახება.

* * *

**ორი** ქალი საუბრობს:
— ჩემს ქმარზე გაბრაზებული ვარ.
— ასეთი რა დააშავა?
— გუშინ 30 ლარი ვთხოვე, სილამაზის სალონში მივდივარ-მეთქი და იცი რა ქნა, იმ დამპალმა?
— ამათვალიერ-ჩამათვალიერა, ამოიოხრა და 300 ლარი მომცა.

* * *

**ბავშვი** სკოლიდან სახლში დაბრუნდა და გაბრაზებულმა განაცხადა:
— მორჩა. სკოლაში აღარ წავალ!



— რატომ?
— წერა მე არ ვიცი და კითხვა და თან ლაპარაკსაც მიშლიან!

* * *

— **უკაცრავად,** თქვენ ჩემს მარაოზე ზიხართ.
— მართლა?! თურმე საიდან მიბერავს!

* * *

— **მინდოდა,** ძაღლისთვის მესწავლებინა, რომ, როცა მოშივდებოდა, ყეფა დაეწყო. ასი გაკვეთილი ჩავუტარე.
— მერე, ყეფს?
— არა, ახლა, სანამ არ დავიყეფებ, არ ჭამს!

* * *

**ბებო** ტაქსში ზის და მძღოლს ეუბნება:
— შვილო, ბაზართან გამიჩერე.
— ბაზარი არ არი, ბებო, გაგიჩერებ.
— როგორ თუ არ არის, გუშინ ხო იყო?!

* * *

**მთვრალმა** კაცმა სახლში ვიღაც ქალი მიიყვანა. კარი ცოლმა გააღო. კაცი მისკენ დაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა:
— უთხარი, რომ ჩემი და ხარ...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
რუსლან რუსია
299-62-77;
599 17-21-21

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
სპარტაკ ქოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24